ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მალვინა დავითაძე

იმპერიული რუსეთის სასკოლო განათლება აჭარაში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,

ასოც. პროფესორი - რომან აბაშიძე

ხიჭაური 2021

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი..... 5

თავიI. იმპერიული რუსეთის სასკოლო განათლების ზოგადი მიმოხილვა აჭარაში..... 9

ქვ.თავი I. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი----------29

ქვ.თავი II. ბათუმის ვაჟთა გიმნაზია ----------31

ქვ.თავი III. ბათუმის ქალთა გიმნაზია ----------34

დასკვნები..... 46

გამოყენებული ლიტერატურა 50

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „ იმპერიული რუსეთის სასკოლო განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917 წწ, წარმოჩენილია ცარიზმის მიერ აჭარაში გახსნილი სასკოლო დაწესებულებების მრავალმხედველობითი ორიენტაცია, მისი მნიშვნელობა აქაურ მოსწავლეებში, წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების მიღების საქმეში.

სამაგისტო ნაშრომში მოცემული პერიოდის ისტორიულ ჭრილში ნათლად ასახავს იმპერიული რუსეთის სასკოლო რეჟიმის ანტიეროვნულ ხასიათს აგრეთვე იმასაც თუ შერეულ სასკოლო განათლების პირობებში რამდენად რთულდებოდა აქაურ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცება.

ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს აჭარის განათლების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს, ასევე ამ თემაზე დაინტერესებულ ნებიისმიერ პირს.

Annotation

Master's Thesis “The system of school education in Imperial Russia in Adjara in 1878-1917 years " , represents the multilateral orientation of the school institutions opened by the Nazism in Adjara, its significance in the students here, in receiving literacy and elementary education.

The historical background of the period given in the master's thesis clearly reflects the anti-national character of the imperial Russian school regime as well as how difficult it was to strengthen the national consciousness of the local population in the conditions of mixed education in schools.

The master work will be the great support to researchers and interested in the history of education in Adjara, as well as to anyone interested in this theme.

შესავალი

ცივილიზაციის განვითარების პროცესში განათლების სისტემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განათლებამ, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის პრიორიტეტულმა დარგმა, საუკუნეების განმავლობაში მრავალი ცვლილება განი-ცადა და მტკიცე ადგილი დაიკავა საზოგადოების განვითარებაში.

მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიის შესწავლით ვრწმუნდებით, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრებას აუცილებლდ მოსდევდა აღზრდისა და განათლების სფეროს შესაბამისი გარდაქმნაც. ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებით ნაკარნახევი საგანმანათლებლო რეფორმები სერიოზულ წარმატებას აღწევდა იქ, სადაც ამ ურთულესი პროცესის წინამძღოლად მეცნიერული აზრი ბატონობდა. ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. ამიტომაც განათლების რეფორმის დახასიათებისას, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ყველა კონკრეტულ დეტალს, მათ შორის ქვეყნის ისტორიულ წარსულს და კულტურული ცხოვრების მახასიათებლებს.

აჭარა, როგორც ძველი მესხეთის შემადგენელი ნაწილი, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული დედასაქართველოს ძირძველ ისტორიასთან. აჭარის მკვიდრნი მრავალი საუკუნეების მანძილზე თავიანთ ძმებთან – ქართველებთან ერთად იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, იცავდნენ მათ სამშობლოს, მამულს, ენას, სარწმუნოებას, მაგრამ ისტორიულმა ბედუკუღმართობამ აჭარა მოწყვიტა საქართველოს და სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოაქცია, რამაც ნეგატიური როლი ითამაშა ამ კუთხის ცხოვრების ყველა სფეროზე და განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე, კულტურაზე, ზოგადად, ეროვნულ ცივილიზაციაზე.

სამასწლიანი ბატონობის დასრულების და დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარას მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა ჭრილობების მოშუშება, რადგან იგი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობაში, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს, არარად მიაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც უმეტესწილად განათლების სფეროს უნდა ეკისრა. ეს კი მისი მწყობრი სისტემის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი.

სახალხო განათლების სისტემა ეწოდება გარკვეული პრინციპების საფუძველზე

აგებულ სასწავლო-სააღმრზდელო დაწესებულებათა იმ ქსელს, რომელიც მიმართულია ცალკეული ქვეყნის მიზანმიმართული სწავლებისა და აღზრდის განხორციელებისაკენ.

სიტყვა ,,სისტემაში" იგულისხმება გარკვეული ელემენტების, მისი შემადგენელი ნაწილების არსებობა და მათ შორის ლოგიკური კავშირები.

სახალხო განათლების სისტემისათვის დამახსიათებელია მის ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი, რომლებიც განათლების სხვადასხვა დონეს იძლევა. გამოკვეთილია ორი ძირითადი პრინციპული მიდგომა ამ კავშირების უზრუნველსაყოფად: ,,ერთიანი სისტემა აგებული მემკვიდრეობითობაზე, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე მის ბუნებრივ გადასვლას და დუალიზმი, ე.ი. სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის არსებობა, რომლის დროსაც არ არის შესაძლებელი ერთი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებუ-ლებებიდან მეორეზე გადასვლა". აჭარაში არსებული ვითარება მხოლოდ დუალის-ტური პრინციპებით აგების წინაპირობას იძლეოდა.

უცხო ძალის მიერ აჭარისათვის თავს მოხვეულმა უცხო სარწმუნოებამ, ენამ და საგანმანათლებლო სისტემამ შეაფერხა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული განვითარება; დაირღვა ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, ხალხის სრულყოფილი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი სწავლება და აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, ხალხის სულიერი კულტურა ყალიბდებოდეს ეროვნულ ტრადიციებზე.

წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალობის ერთი ასპექტიც არის იმის ჩვენება, რომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული დაპყრობითი პოლიტიკა დამანგრეველი ძალისხმევით მოქმედებს დაპყრობილი ხალხის საგანმანათლებლო სისტემასა და ეროვნული კულტურის განვითარებაზე.

თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაშიც, რომ აჭარის სწორედ ამ პერიოდის ისტორიის თავისებურება განაპირობებს მასთან ორგანულად დაკავშირებულ სასკოლო განათლების სისტემის სპეციფიკურობას და იგი ლაიტმოტივად გასდევს აჭარის განათლების სფეროს 1918-1921 წლებში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს, თურქულ მედრესესა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებებს უხდებოდა ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად. ქართულმა სკოლამ

ორი ათეული წლის განმავლობაში შეძლო აჭარის მოსახლეობაში ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მკვიდრი მოსახლეობის ნაციონალური შეგნების ჩამოყალიბება.

აჭარაში 1878-1917 წლების და არამარტო ამ წლების სასკოლო განათლების შესახებ დღემდე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. მათი ავტორები (გ. ბაბილოძე, გ. ნიორაძე, ა. გობრონიძე, ვ. წულუკიძე, ე. ცივაძე, ნ. გუგუნავა) კეთილსინდისიერად იკვლევდნენ ცალკეულ ასპექტებს, რითაც ხასიათდება განათლების სასკოლო მდგომარეობა აჭარაში.

გრ. ბაბილოძის ნაშრომი ,,ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან " (ბათუმი, 1975 წ.) გვიხატავს ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან გამოხსნილი და დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის სასკოლო განათლების სისტემის საერთო მდგომარეობას. მკვლევარმა წამოაჩინა ,,ქართული საქველმოქმედო საზოგა-დოების" დიდი ღვაწლი აჭარის მოსახლეობის განათლებაში, რომელიც არა მხოლოდ განათლების, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებსაც შეეხებოდა. ავტორი ქართული პრესისა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს საქველმოქმედო საზოგადოების საგანმანათლებლო მოღვაწეობის ეროვნულ ხასიათს და ცდილობს დაგვანახოს ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლები როგორ უწყობდა ხელს აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

გ. ნიორაძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა ბათუმში" (თბილისი, 1958 წ.) გაშუქებულია ,,ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ღვაწლი აჭარაში სასკოლო განათლების განვითარების სფეროში, განხილულია ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსების ძირითადი მიზეზები, აგრეთვე მოცემულია ის სიძნელეები, რომლის პირობებშიც უხდებოდა სკოლას მოღვაწეობა ეროვნული მისიის შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარის ვახტანგ წულუკიძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა აჭარაში" (ბათუმი, 1982 წ.) ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში ხაზს უსვამს კონკრეტულად ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მნიშვნელობას, განსაზღვრავს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარისათვის ამ სკოლის დიდ როლს და ფაქტობრივად გვაძლევს ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიას მისი დაარსებიდან XX საუკუნის 70-იან წლების ბოლომდე.

მეტად საინტერესოა ასევე ნანი გუგუნავას ნაშრომი ,,მემედ აბაშიძე განმანათლებელი", (ბათუმი, 1997 წ.). ნაშრომის ავტორმა მკაფიოდ წარმოაჩინა მემედ აბაშიძის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, საგანმანათლებლო იდეები და პედაგოგიკური მემკვიდრეობა, განსაზღვრა მისი როლი აჭარის სასკოლო განათლების განვითარების სფეროში. ნაშრომში გამოკვეთილია აჭარის განათლების განვითარების ისტორიის ძირითადი ეტაპები, რომელსაც

ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს: 1) აჭარის განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებამდე: ა) აჭარაში განათლების ისტორია XVI საუკუნემდე; ბ) აჭარაში განათლების ისტორია თურქთა ბატონობის პერიოდში. 2) აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების შემდეგ. ქ-ნი ნანი აჭარის განათლების ისტორიის ასეთ პირობით არქიტექტონიკას ამავე კუთხის ისტორიის სპეციფიკურობით ხსნის, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. ნაშრომში მემედ აბაშიძის დამსახურებასთან ერთად, ზოგადად წარმოჩე–ნილია აჭარის განათლების ისტორიის პრობლემატური საკითხები.

1918-1921 წლების აჭარისა და ზოგადად, მაშინდელი საქართველოს განათლების მდგომარეობას შესანიშნავად წარმოაჩენს გ. საყვარელიძე წიგნში „მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა“. წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები, საარქივო მასალები კარგად ასახავს მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც.

სამაგისტრო ნაშრომის თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები:

ა) ისტორიული და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა;

ბ) საარქივო წყაროების დამუშავება;

გ) მონაცემთა შედარებითი ანალიზი.

ჩვენი ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აღზრდისადმი სახელმწიფოებრივეროვნული მიდგომის თვალსაზრისი, ანუ რამდენად უწყობს აღზრდა ხელს მამულიშვილის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას; ეროვნული თვითშეგნებით აღზრდილია მამულიშვილი, ვისაც მტკიცედ სწამს, რომ საქართველოს შეუძლია ძლიერი მეზობლების გვერდით იცხოვროს და განვითარდეს დამოუკიდებლად, დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები და განავითაროს ეროვ–ნული კულტურა.

ჩვენი ნაშრომის მატერიალურტექნიკურ ბაზას წარმოადგენს აჭარის განათლების ისტორიის მკვლევართა ნაშრომები, საარქივო მასალები, მოცემულ და შემდეგ წლებში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენი კვლევის მიზანია აჭარაში სასკოლო განათლების განვითარების და ფორმირების ისტორიის შესწავლა რუსეთის მმართველობის დროს. დასახული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ შემდეგი საკითხები:

განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917, თურქული განათლების სისტემის ნარჩენების, რუსული იმპერიული სასკოლო სისტემის და ქართული ეროვნული სკოლის განვითარების სინქრონულ ვითარებაში.

– აჭარაში სასკოლო განათლების მდგომარეობა 1878-1917 წწ.

დასახული ამოცანის განხორციელებისათვის განისაზღვრა ნაშრომის სტრუქ–ტურა, რომელიც შედგება შესავლის, ერთი თავის, სამი ქვე თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I

იმპერიული რუსეთის სასკოლო განათლების ზოგადი მიმოხილვა აჭარაში

1878 წელს აჭარა იმპერიული რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა და დაიწყო მისი კოლონიზაცია აჭარაში ცარიზმის მმართველობის სისტემა, რომელიც რუსიფიკაციული პოლიტიკის გატარებას ისახავდა მიზნად.

რუსიფიკატორული პოლიტიკა კი ნიშნავდა ქართული ერის სრულ იგნორირებას და მოსახლეების სრულ იზოლაციას „ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა რა თქმაუნდა მხოლოდ 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა და ცარიზმის ბატონობის მთელი პერიოდის, მისი კოლონური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი, იყოდა მეფის რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას მოჰყვა თან მაგრამ ისეთი გახშირებული დევნა-შევიწროება, აშკარა დარბევა, რაც ქართველმა ხალმა რუსული ძალების თარეშით გტანიცადა ამ პერიოდში, არ ახსოვს ცარიზმს ბატონობის 80-წლიან ისტორიას, რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდენ რეოლუციურდემოკრატიულ ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისზიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის, მისი ენის, კულტურისა და ისტორიის მოსასპობად, ქართველი ერი დაქუცმაცებასა და მისი კუთხეების დასაპირისპირებლად დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსასორებლად“.(95; 644-645)

ცარიზმის დიდმპყრობლურ-შოვინისტურმა იდეოლოგიამ და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მკაფიო გამოხატულება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით ქართული სკოლების წინაღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში იჩინა თავი.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ აჭარაში რუსეთის თვითმპყრობლობის სასკოლო განათლების სისტემის მიმოხილვაზე,მანამდე ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგადი სახით განვიხილოთ მთლიანად საქართველოში, მეფის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ სახალხო განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა.

სახალხო განათლების დარგში ცარიზმი აშკარად გამოკვეთილ გარუსების პოლიტიკას ატარებდა გაუქმდა ბევრი ქართული საერო და სასულიერო სასწავლებელი და დაიწყო ცალკეული რუსული ტიპის სკოლების დაარსება. „სახალხო განათლების ბეჭდვითი სიტყვის თეატრალური ხელოვნების და სხვა ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებები და წამოწყებანი, რომლებიც შევიდა ან შედიოდა საქართველოს ცხოვრების პრაქტიკაში მე-18 საუკუნის დასასრულს, სრულიად ან თითქმის სრულიად იქნებოდა გაუქმებული. მე-19 საუკუნის დასაწყისში ცარიზმი ფანტავდა ქართულ მეცნიერებს, ლიტერატორებს,კულტურისა და განათლების მუშაკებს, აფერხებდა ყოველ ადგილობრივ თაოსნობას ქართველთა შორის წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების საქმეში.“ (82;146)

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის იმპერიამ საქართველო ორ გუბერნიად დაჰყო (თბილისისა და ქუთაისის), რომლებსაც რუსი გუბერნატორები ჩაუყენეს სათავეში. გუბერნატორები კავკასის მეფისნაცვალს ექვემდებარებოდნენ. 1844 წელს კავკასიის მეფისნაცვლად ინიშნება სამეფო კართან დაახლოებული პირი მ. ს. კორონცოვი რომელმაც ბევრი კულტურული ღონისძიება გაატარა საქართველოში. მაგრამ ეს არ იყო ცარიზმის კეთილი ნების გამოვლენა. მისი შენიღბული, მოჩვენებითი კეთილმოსურნე ქმედებები მიზნად ისახავდა ქართველების გარუსებას.

1848 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა პეტერბურგიდან არებული ნებართვის საფუძვეზე დაამტკიცა „დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მისი დაქვემდებარებული სასწავლებელთაშესახებ“. იმავე წელს დაარსდა სასწავლო ოლქიც. მისი პირველ მზრუნველად დაინიშნა ე. ნ. სემიონოვი. ხოლო 1852 წლიდან 1860 წლამდე ოლქს ბარონი ა. პ.ნიკოლაი მართავდა.

კავკასის სასწვლო ოლქი დაიყო: თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლისა და შავი ზღვისპირეთის დირექციებად თბილისის დირექციაში შედიოდა გიმნაზია, კომერციული გიმნაზია, სამაზრო სასწავლებლები დუშეთის, სიღნაღის, თელავის, ერევნის და სხვა. ქუთაისის დირექციაში შედიოდა ქუთაისის გიმნაზია, ახალციხისა და ოზურგეთის სასწავლებლები. „ხონისა და რედუკალეს ორკლასიანი სასწავლებლებლები საქართველოს სხვა სასწავლებლები სასულიერო, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა დაქვემდებარებაში მოექცნენ“(86;250-258)

მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის ხასიათი საქართველოში სახალხო განათლების სფეროში ყველაზე მწვავე ადგილობრივი ენებისადმი დამოკიდებულებაში მჟღავნდება; ამიტომ აღნიშნული საკითხის გაანალიზება ნათელ სურათს შეგვიქმნის საქართველოში ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ.

სხვა ადგილობრივ ენებს შორის ქართული ენა მე-19 სააუკუნის პირველ ნახევარში გარკვეული პრივილეგიებით სარგრბლობდა. ქართული ენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება განპირობებული იყო საქართველოს ისტორიული როლით მთელ ამიერკავკასიაში და მეორე მხრივ, მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მმართველობის სისტემაში ვლინდებოდა. საილუსტრაციოდ ავიღოთ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის სწავლება. აი, რას წერს ტ. ხუნდაძე „ქართული ენის შესწავლა აქ სავალდებულო იყო ყველა ეროვნების მოსწავლისათვის, სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რუსულიდან ქართულზე და ართულიდან რუსულზე თარგმნას. რისთვისაც სასწავლებლის მასწავლებელსაც მოეთხოვებოდათ ქართული ენის ცოდნა. სასწავლებელში ასწავლიდნენ ქართულ სიტყვიერებას და ზოგიერთი საგანი, როგორიც იყო საღვრთო რჯული, რიტორიკა, გრამატიკა, ლოღიკა ქართულ ენაზეც ისწავლებოდა.(126;5)

ადგილობრივი ენებისადმი ოფიციალური მდგომარეობა საქართველოს სასწავლებლებში იცვლება მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან. მართალია ამ პერიოდისთვის მშობლიური ენების შესწავლის აუცილებლობა კლავინდებურად არის აღიარებული მაგრამ მან დაკარგა რამდენადმე პირვანდელი მნიშვნელობა.

რუსული მმართველობა რწმუნდება იმაში რომ სასწავლებლების საშუალებით იგი ვერ მიიღებდა მათი ინტერესების მატარებელ, სასურველი იყო სკოლებს სახალხო განათლების სფეროში კარდინალური ცვლილებები გამოაშკარავდა ადგილობრივი განათლების სისტემის საერთო რუსულ სისტემასთნ დაახლოებისა დაადგლობრივი სასწავლებლების რუსული გუბერნიების მსგავს სასწავლებლებთან გატარებული ღონისძიებები იმ კუთხით იყო მიმართული, რომ გავრცელებულიყო ადგილობრივი ენების გავლენა რუსიფიქატორული პოლიტიკის წინააღმდეგ რომელთაც კავკასიის სასწავლებლებში მათი სწავლება იწვევდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ეს ცდები მიზნად ისახავდა არამარტო იმპერიისა და მისი განაპირა რაიონების განათლების სისტემის გათანაბრებას მმართველობის გაადვილების მიზნით, არამედ ადგილობრივი ხალხების რუსიფიკაციას, მათ საბოლოო შერწყმას მეტროპოლიასთან, რაშიც ადგილობრივი ენების სწავლებას სეიძლება მხოლოდ შემაფერხებელი როლი ეთმაშა“.(83;53)

ყველაფერი ეს შეადგენდა ცარიზმის საგანმანათელებლო პოლიტიკის ძირითად შინაარსს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრში მიზანი უცვლელი დარჩა, შეიცვალა მოქმედებათა საშვალებანი, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ 1881 წელს შეადგინა სასწავლო გეგმა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სასწავლო დაწესებულებასი დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება. დედაენის სწავლება კი არასავალდებულოდ აღიარეს, მას, როგორც არასავალდებულო საგანს ნაწილობრივ პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასში ეთმობოდა სავსებით უმნიშვნელო რაოდენობის საათები და ისიც მხოლოდ გაკვეთილების ბოლოს, როცა ბავშვი უკვე გონებრივად გადაქანცული იყო.

1886 წელს იანოვსკიმ გაუგზავნა სასწავლებლის დირექტორებს ცირკულარი სადაც ლაპარაკი იყო სწავლების საერთო დონის გაუმჯობესებასა და, სახელდობრ. "ტუზემცური" ენების სწავლების შედეგიანობაზე. სასწაქვლებლის დათვალიერების დროს, იანოვსკი დარწმუნდა რომ სწავლების რაციონალურიმეთოდების გამოყენების შემთხვევაში, არსებული საათების რაოდენობა საკმარისი იყო ამ ენებში დამაკმაყოფილებელი დონის მისაღწევად. მაგრამ „სწავლების საყოველთაო გაუმჯობესების მიზნით". იანოვსკი უბრძანებდა სასწავლებლის დირექტორებს „ მოეთხოვათ ადგილობრივი ენების მასწავლებლებისათვის საგნის პროგრამები. მათ მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების განმეორებით პროგრამების შედგენის დროს მასწავლებლებს მხედველობაში უნდა მიეღოთ ის აუცილებელი პირობა, რომ ადგილობრივი ენების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სხვა საგნების სწავლების შესაბამისად და შეთანხმებული იყოს ამ საგნების პროგრამებთან სასწავლებლის ყველა კლასში.(91;2)(97;2)

შემდეგ პერიოდში დედაენის სწავლება პრაქტიკულად საოჯახო საქმედ გამოცხადდა. იანოვსკის ცირკულარი ოსტატურად გამოიყენებოდა იმ მიზნით რომ ართველი ბავშვები სკოლის გარეთ დარჩენილიყვნენ.

იანოვსკის აშკარა ანტიპედაგოგიური რონისძიებანი უმძიმეს მდგომარეობასი აყენებდა რუსული ენის არ მცოდნე ქართველ ბავშვებს. ხელს უშლიდა ქართული ენის არ მცოდნე რუს პედაგოგებსაც , რომლებიც გამოსავალს სწავლების ე.წ. „მუნჯური მეთოდის" შემოღებასა და მის დანერგვაში ხედავდნენ.

რუსეთის თვითმპყრობლობის საგანმანათლებლო პოლიტიკა ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და გამოიწვია მთელი მისი პროგრესიულ-განმათავისუფლებელი ძალებისა და საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა. და ხმას იმაღლებდნენ ქართული ენის დასაცავად.ასაბუთებენ რეაქციული ღონისძიებების ანტიპედაგოგიურობისა და უსაფუძვლობას.

ილია ჭავჭავაძეიანოვსკის კონცეფციას უპირისპირებს მსოფლიოს გამოჩენილი პედაგოგების შეხედულებებს მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ. მოჰყავს რუსი პედაგოგის უშინსკის მეცნიერული შეხედულებები მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ და დასძენს: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით, უკან დაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულ და დაუბრკოლებელ გზას

სწავლებაში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრობთ ამიტომაც რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვსა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა და განა ეს სასურველია?“(122;554)

იაკობ გოგებაშვილი იანივსკის წინააღმდეგ იყენებს იმპერატორის რესკრიპტს* მშობლიურ ენაზე სწავლების ნებართვის შესახებ, სადაც აღიარებულია, რომ ზოგად, განსაკუთრებით დაწყებით სკოლებში სწავლება უნდა წარმოებდეს მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე ეს ფაქტობრივად უარყოფილი იქნა 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში ი. გოგებაშვილი ცარიზმის კავკასიელ მოხელეებს კანონების დამრღვევთ უწოდებს და კითხულობს! „როგორ შეძლეს უმაღლესი ნების შეცვლა ეგრე დაუსჯელად?“ საჭიროა მეფის კანონების დამღღვევთა მხილება იმ მიზნით, რომ ქართული ენა აღდგენილ იქნეს საქართველოს სკოლებში“.(49;200)

ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სერგეი მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა ნათლად დაინახეს თუ რა მიზანს ისახავდა რუსეთის თვითმპყრობლური პოლიტიკა, ისინი ერთმანეთის მხარში დგომითა და გონივრული მოქმედებებით დაუპირისპირდენ იმპერიის მოხელეებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს სასწავლებლებში ქართული ენის შენარჩუნებისა და ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

მეფის რუსეთი სახალხო განათლების განვითარების მხრივ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, ამ ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობდა მოსახლეობის საერთო მოთხოვნებს.

მეფის რუსეთში არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები- საბავშვო ბაგები, ბაგების რიცხვი კი ძალზე მცირე იყო ისიც რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში.

მეფის რუსეთში დაწყებული სწავლება „ტარდებოდა საერობო და საეკლესიო - სამრევლო სკოლებში სწავლების 3-4 წლის ვადით და ორკლასიან სამონასტრო სასწავლებლებში სწავლების ხუთწლიანი ვადით. სწავლების ძირითად შინაარსს დაწყებით სკოლაში შეადგენდა საღვთო სჯულს, ანგარიშის, წერა-კითხვის სწავლება და ზოგიერთი ცნობის მიწოდება გეოგრაფიიდან, ისტორიიდან დაბუნებისმეტყველებიდან. იმ დროს მოწინავე სკოლად ითვლებოდა საერობო სკოლა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა საღვთო სჯულს, საეკლესიო გალობას, წერა-კითხვას და ანგარიშს.“(87;71)

სახალხო სკოლების უმეტესობა ერთკლასიანი იყო. ორკლასიანი უმეტესწილად, ქალაქებში არსებობდა, იშვიათად დიდ სოფლებშიც.

დაწყებით განათლებას იძლეოდა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებიც: „დაწყებით სკოლებთან, დიდ ქალაქებში, ხელოსნებისა და დაბალი მოხელების შვილებისთვის არსებობდა სამოქალაქო ანუ პირველდაწყებითი სასწავლებლები

ოთხწლიანი სწავლების ვადით. ამ სკოლების პირველ კლასში იღებდნენ ერთწლიან სამ ან ოთგანყოფილებიან დაწყებითი სკლის კურსდამთავრებულებს.“(84;81)

ამ ტიპის სკოლების პროგრამები ისე იყო შეკვეცილი, რომ, მის კურსდამთავრებულებს არ შეეძლოთ საშუალო ტიპის სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. ეს სკოლები, უმეტესწილად, დაბალი ფენის მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი და მისი ქსელი არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო მთელ რუსეთში.

საშუალო განათლებას ძირითადად გიმნაზია იძლეოდაა და უნივერსიტეტში შემსვლელებს ამზადებდა.

რეალური სასწავლებლები ამზადებდნენ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად. სწავლების ვადა 7წლით განისაზღვრებოდა. რეალურ სასწავლებლებს უახლოვდებოდა კომერციულ;ი სასწავლებლები. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებში ერთვებოდა, ნაწილი კი სწავლას აგრძელებდა კომერციულ ინსტიტუტებში.

რეალური სასწავლებლის პროგრამები განსხვავდებოდა გიმნაზიებში არსებული პროგრამებისაგან. გიმნაზიებში ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინებს ექცეოდა მეტი ყურადღება, რეალურში კი ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას.

მაღალი ფენის შვილებისთვის არსებობდა კადეტთა კორპუსი და კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტები.

სასულიერო უწყებას ქონდა თვისი სასწავლებლები: სასულიერო სემინარიები და ეპარქიული სასწავლებლები.

მეფის რუსეთში უმაღლეს განათლებას იძლეოდნენ უნივერსიტეტები,ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული ინსტიტუტები, უმაღლესი ქალთა კურსები, ხოლო სასულიერო უწყებას გააჩნდა სასულიერო სემინარიები.

რევოლუციამდელი რუსეთის სასკოლო განათლების სისტემის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება.

სამასწავლებლო ინსტიტუტი			უნივერსიტეტი	უმაღლესი ტექნიოკური, სას-სამეურნეო ეკონომიური და სხვა			ქალთა უმაღლესი კურსები4-5 წ		სასულიერო აკადემია 4წ
სასწავლო სემინარია 4წელი	უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი 4 წელი	სახელოსნო სასწავლებლები და სკოლები	ვაჟთა გიმნაზია	რეალური სასწავლებელი 7წელი	კომერციული სასწავლებელი 7-8 წ	კადეტთა კორპუსი 7 წელი	ქალთა გიმნაზია 7-8 წ	ეპარქიული სასწავლებელი 7-8წ. კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი 8წ	სასულიერო სემინარ წელი
ორკლასიანი დაწყებითი სკოლა	დაწყებითი სკოლები 3-4 წელი		მოსამზადებელი კურსები						

იმპერიული რუსეთის განათლების სისტემა მოკლებული იყი თანასწორუფლებიანობის, სასწავლო-არზრმდელობითი დაწესებულების საზოგადოების ხასიათს, მშობლიურ ენაზე სწაველებას, არზრდისა და განათლების ჰუმანურ ხასიათს. ამ ძირითადი პრინციპის საფუძვლების გარეშე განათლების სისსტემის მოწყობას არ შეიძლება ჰქონოდა გარდამტეხი მნიშვნელობა მოსახლეობის განათლებისა და სწორი სოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად.

ახლა ვნახოთ სასკოლო განათლების მხრივ როგორი მდგომარეობა იყო აჭარაში. აჭარაში რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ, როგორც ვიცით მხოლოდ მედრესეები არსებობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბერძნების ეკლესიასთან არსებულ სკოლას.

რუსეთი იმ დროისთვის ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა და რა გასაკვირი იყო, ხელისუფლებას ნაკლებ ეზრუნა განათლების სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის, „ თუ 1913 წელსრუსეთში მთავრობა 1 სულ მოსახლეზე განათლებისთვის საშუალოდ ხარჯავდა 80 კაპიკს, ანალოგიური

ხარჯები ინგლისსა და გერმანიაში შეადგენდა 3 და 3,5 მანეთს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებში 9 მანეთს აღწევდა“.(69;136)

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მეფის ხელისუფლება ვერ იმეტებდა ხარჯებ განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის. ცარიზმი მის პროვინციებში ნელა, მაგრამ მაინც ზრდიდა სასწავლებლების რიცხვს; ამით სურდა ამ სასწავლო დაწესებულებებში სწავლების რუსულ ენაზე წარმართვით ხელი შეეწყო გარუსების პოლიტიკის გატარებისათვის.

საქართველოს სახალხო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შემდეგ რეაქციის ერთგული მსახურნი წინადადებას იძლეოდნენ, რომ სამეგრელოში მეგრულად ესწავლებინათ, სვანეთში კიდე სვანურად და აჭარის სკოლებში თურქულად და მათ საფუძველზე ესწავლებინათ რუსული ენა ყველა ეროვნების (მათ შორის ქართველი) ბავშვებისათვის... მუსლიმან ქართველებს, რომლებიც დაუბრუნდნენ დედასამშობლოს და თავი დააღწიეს ოსმალ დამპყრობელთა ბატონობას. ცარიზმის კავკასიელი აგენტებითურქებად აცხადებდნენ... ახლად შემოერთებულ აჭარას არტაანის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობას ცარიზმი ამიერკავკასის თურქებით დასახლებულ ადგილთა მსგავსად აწყობდა, ებრძოდა ქართულ დაწესებულებებს, ხელს უშლიდაამ მხარის მოსახლეობის ქართველ ხალხთან დაახლოებას, ამავე დროს თითქმის ხელსეუხებლად ტოვებდა თურქულ ეროვნულ დაწესებულებებს“(95;645-646)

მედრესეთა და ცარიზმის მიერ აღებული საგანმანათლებლო კურსი უარყოფითად მოქმედებდა ქართულ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიზიდვაზე, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ზრდაზე, რასაც ერთვოდა ცარიზმის მოხელეების მოწოდება, რომ აჭარლები თურქები არიან და არა ქართველები: რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გახსნილ სკოლებში ამკვიდრებდნენ, იმ აზრს რომ აჭარლები ქართველი მუსლიმნები კი არა, თურქები არიანო. ადვილი წარმოსადგენია, ასეთ პირობებში როგორი მეთოდებით განხორციელდებოდა აჭარელი ახალგაზრდობის ეროვნული ცნობიერების დამახინჯება.

ასეთ ანტიქართულ აგიტაციას ერთვოდა სწავლების რუსულ ენაზე დამკვიდრება, რაც კიდევ უფრო ართულებდა აჭარელ მოსწავლე-ახალგაზრდობის მდგომარეობას. ჰაიდარ აბაშიძე წერილში „ხმა ქრისტიან მოძმეებს“ გულისტკივილით წერს „ამოდენა მხარეში მეტად მცირეა პირველდაწყებითი სკოლები და რაც არის ისიც უნაყოფოა მაჰმადიანი ქართველებისათვის, რადგან სწავლა იქ უცხო და გაუგებარ ენაზე წარმოებს. ჩვენი ხალხის გამოღვიძება და კულტურული ცხოვრების ფერხულში ჩაბმა შეიძლება მისი ადამიანურ უფლებათა აღდგენით, მაგრამ სადაც არის ეს ადამიანობა, როდესაც მას ეუბნებიან, შენ რადგან მაჰმადიანი ხარ, მუსლიმანი, თურქ-ოსმალო ხარ და არა ქაეთველიო“.(12)

900-იან წლებში რეაქციის მძვინვარე დროს, რუსული პოლიტიკა საქართველოს ყველა კუთხეში და, მათ შორის , აჭარაში ცდილობს ქართველთა ეროვნული ცნობიერების მოშლას, რადგანაც კარგად მოეხსენება, რომ თუ დაპყრობილ ერს შერჩენილი აქვს ეროვნული ცნობიერება, ეროვნული თვითშეგნება, თვითმყოფადობა, ერთიანობის შეგრძნება და მამულისადმი სიყვარულის გრძნობა, იგი დაპყრობილად და დამორჩილებულად ვერ ჩაითვლება, ე.ი. ერის სრულ ანექსიაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუკი არსებობს ერში საკუთარი „მეობიის“ შეგრძნება, როცა იგითავის ნამდვილ სამშობლოდ თავის ბედკრულ ქვეყანას მიიჩნევს და არა იმპერიას, რომლის არტახებშიცაა მოქცეული მისი მიწა-წყალი.

ცარიზმი არ იყო დაინტერესებული აჭარისა და საერთოდ მათ დაქვემდებარებაში მყოფი გუბერნიების მოსახლეობაში ელემენტარული განათლების შეტანით. ჟურნალი „განათლება“ იუწყებოდა: „ხალხის განათლებაზე მთავრობის უყურადღებობას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტიც რომ პირველდაწყებითი სწავლების მიღებისთვის ამავე პერიოდში (1990-1991) წლებში ჩვენში წლიურად ტითო სულზე გათვალისწინებული იყო კაპიკი ხოლო სამხედრო ხარჯები 32მანეთი და 16 კაპიკი.“(87)

განათლების ხარჯების გარკვეულ ნაწილს აჭარის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ იხდიდა, მთავრობა კი სწვლა-აღზრდის საქმისთვის მოსახლეობის ელემენტარული განათლების მისაღებად უარს ამბობდა სახსრების გაღებაზე. მოსახლეობის ელემენტარული განათლების მიღების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1908 წელს საჭირო იყო: თბილისის გუბერნიაში -1674, ქუთაისიში -926, ბათუმის ოლქში 200, სოხუმში 130 პირველ დაწყებითი სკოლა, რეალურად კი 1908 წლისთვის თბილისის გუბერნიაში არსებობდა - 173, ქუთაისში 249, ბათუმში კი 19. სოხუმში - 47 სკოლა.“(93;17)

ქალაქ ბათუმში საყოველთაო პირველდაწყებითი განათლების შემოღების საკითხი ოფიციალურ დონეზე 1908 წ. დაისვა, ქალაქის თვითმართველობამ 1908 წლის 22 დეკემბერს განიხილა და დაამტკიცა ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მოხსენება. ამ მოხსენებიდან ირკვევა რომ 1909 წ. 1 იანვრისთვის ქ. ბათუმში ირიცხებოდა 8-11 წლის ასაკის 1473 ბავშვი. მათი უმრავლესობა ქალაქის თავის მოხსენებით ჩართული იყო სასწავლო პროცესში, მაგრამ ეს ფაქტი არ შეესაბამება რეალობას. ისეთ პირობებში, როცა სწავლება იყო ფასიანი, საყოველთაო სწავლების განხორციელება პრაქტიკულად ვერ მოხერხდებოდა. საყოველთაო სწავლების განხორციელებისთვის საჭირო იყო უფასო სასწავლებლების შემოღება, სასკოლო ქირის მთლიანი მოხსნა და არსებულ სკოლებში დამატებითი განყოფილებების გახსნა, რაც ქალაქის ბიუჯეტიდან დამატებით 3510 მანეთი სჭირდებოდა. ქალაქ ბათუმის თვითმართველობამ ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა. მზრუნველმა ეს შუამდგომლობა მხოლოდ 1911 წ. დააკმაყოფილა, ამ დროისთვის კი მდგომარეობა

შეიცვალა. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით 1911 წ. ქალაქ ბათუმში სკოლის გარეთ დარჩენილი იყო დაწყებითი სკოლის ასაკის 1117 ბავშვი“.(92;26)

1914 წელს ქალაქ ბათუმის თვითმართველობამ ისევ განაახლა ეს საკითხი და ღძრა შუამდგომლობა სახელმწიფო სახსრებიდან უფასო სწავლის განხორციელებისთვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ, მაგრამ ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ქრონოლოგიურად, პირველი სასწავლებელი, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობამ აჭარაში (ბათუმის ოლქში) 1881 წელს დაარსა არის ბათუმის სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. დაარსებისას, სამოქალაქო სასწავლებელი დაკომპლექტებული იყო სამი კლასითა და ექვსი განყოფილებით. 1888 წელამდე სასწავლებელს არ გააჩნდა საკუთარი შენობა. მომდევნო წლებში გაუმჯობესდაბათუმის საქალაქო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამაც შექმნა მტკიცე ბაზა სამოქალაქო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის.

ბათუმის საქალაქო სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 1884-1885 წლებში შეადგენდა 94, ყოველწლიურად იზრდებოდა მოსწავლეთა კონტიგენტი და ხშირ შემთხვევაში ადგილების უქონლობის გამო ვერ ახერხებდა ბავშვების მიღბას.

1889 წელს ბათუმის სამკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა ექვსკლასიან სასწავლებლად, რისი წინაპირობაც იყო 1888 წელს საკუთარი შენობის აგება და ბათუმის მოსახლეობის ინტერესი ამ სასწავლებლისადმი.სასწავლებელში მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს ისიც წარმოადგენდა, რომ სწავლების საფასური დაბალი იყო და იგი 10 მანეთს შეადგენდა წლიურად .

1910 წლის მონაცემებით, ბათუმის საქალაქო სასწავლებელში სწავლობდა 252 მოსწავლე, რომელთგანაც აჭარის მკვიდრი მხოლოდ 12 მოსწავლე იყო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სასწავლებელი არ იძლეოდა აჭარის მკვიდრი მოსახლეობისთვის იმის საშუალებას, რომ მის მნიშვნელოვან ნაჭილს მიეღო ელემენტარული განათლება მეცნიერების საფუძვლებში.

ბათუმის საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში 1913-14 სასწავლო წელს სასწავლო დისციპლინებიკვირეული საათების მიხედვით შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: (მასალა ამოღებულია აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან, ფ 33 საქმე 76)

რევოლუციამდელი რუსეთის სასკოლო განათლების სისტემის, სქემა შემდეგნაირად გამოიყურება

	სასწავლო საგნები	კვირეული საათების რიცხვი კლასების მიხედვით	I	II	III	IV	V	VI	პედაგოგიური კლასი	ჯამი
1	საღვრთო რჯული	2		2	3	3	2		1	15
2	რუსული ენა	6		6	6	6	5		3	36
3	მათემატიკა	4		4	6	6	5		2	32
4	გეომეტრია	_		_	2	2	3		1	11
5	ფიზიკა	_		_	_	_	_		_	4
6	გეოგრაფია	2		2	2	1	1		2	11
7	ისტორია	_		_	_	1	2		2	7
8	ხატვა	2		2	2	2	3		2	16
9	მართლწერა	2		2	1	1	_		_	6
10	გიმნისტიკა	3		3	1	1	1		_	9
11	სიმღერა	1		1	1	1	1		1	7
12	ადგილობრივი ენები	_		_	1	1	1		_	3
13	საცდელი გაკვეთილები	_		_	_	_	_	_	8	8
14	პედაგოგიკა	_		_	_	_	_	_	2	2
15	რუსული ენის მეთოდიკა	_		_	_	_	_	_	1	1

(26;44)

ამ მრავილმომცველი დისციპლინების სწავლების დონე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, ბათუმის საქალაქო სასწავლებელი ვერ იძლეოდა სათანადო ცოდნას, რასაც ადასტურებს კავკასის სასწავლო ოლქის მზრუნველის დასკვნაც: „ყველაზე დაბალი წარმატების მაჩვენებელს წარმოადგენს ბათუმის საქალაქო სასწავლებელი“.(135)

1886 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა რუსული ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1890 წელს მარიამის ქალთა სასწავლებლად გადაკეთდა, იგი პავლე პირველის მეუღლის -მარიამის პატივსაცემად მარიამის სახელობისად იწოდებოდა.

ბათუმის მარიამის ქალთა სასწავლებლის მთავარი კონტიგენტი ბათუმის საქალაქო სასწავლებლის (დაარსდა 1881 წ.) აღზრდილები იყვნენ. ამიტომაც მირებული ქონდათ ის ელემენტარული მეცნიერული ცოდნა, რასაც მოითხოვდა ქალთა სასწავლებელი.

მარიამის სასწავლებლის პროგრამები კი განსხვავდებოდა გიმნაზიაში არსებული პროგრამებისაგან, მაგრამ იგი მაინც არ იყო საკმარისი. მარალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად. საილუსტრაციოდ იყენებდნე იმ საგნებს, რომელიც ამ სასწავლებელში ისწავლებოდა; ამასთან ერთად წარმოვადგენთ საარქივო მასალებში მოპოვებულ მონაცემებს თითოეული საგნისთვის განკუთნილი ყოველკვირეული საათების შესახებ.

მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელში არსებული სასწავლო დისციპლინები და მათი ყოველკვირეული

საათების რაოდენობა

N	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა
1	რუსული ენა	11
2	თვალსაჩინოება	10
3	ღვრთის სჯული	2
4	ისტორია;გეოგრაფია	26
5	მათემატიკა	12
6	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	3
7	სუფთა წერა და ხატვა	46
8	სიმღერა;მუსიკა	12

(29;163)

როგორც ცნობილია, ბათუმის „მარიამის“ ქალთა სასწავლებელში სწავლება ფასიანი იყო. მაგრამ იყო შემთხვევები როდესაც მოსწავლეებს ათავისუფლებდნენ სწავლების ქირისაგან, მაგალითად 1890 წელს ქალაქის დაფინანსების ხარჯზე სწავლების საფასურისგან გაუთავისუფლებიათ 5 მოსწავლე, სხვა წყაროების ხარჯზე კი 14 მოსწავლე.

მარიამის ქალთა სასწავლებელში 1890 წლისათვის სწავლობდა 174 მოსწავლე. მათ შორის რუსი ეროვნების მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა შეადგენდა 33,3 % ქართველების -17,3%, სომხების -16,1%, ებრაელების -25% სხვა ეროვნების მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა შეადგენდა 8,3%-ს.

კავკასიაში სახალხო განათლების მზრუნველი კ. პ. იანოვსკი აღნიშნავს, რომ „1898 წლის 1 იანვრისთვის ბათუმის მარიამის სასწავლებელში ირიცხებოდა 180 მოსწავლე. მათგან 16 თავადაზნაურთა გოგოებია, მეშჩანების - 123, გლეხებისა კი- 14, დაბალი ჩინის მოხელეთა 6 მაშასადამე 80% მარიამის სასწავლებელში იმ კლასის შვილები სწავლობდნენ, რომელთა მიზიდვაგიმნაზიაში არასასურველია. ეს ციფრები გვიჩვენებს იმას, რომ მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენის მოთხოვნილებებს“.(28;18)

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს რამდენიმე რუსული სკოლა გაიხსნა ქალაქ ბათუმსა და აჭარის სოფლებში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას , რომ ცარიზმი ამით აჭარის მოსახლეობის განათლებას ისახავდა მიზნად. სასკოლო ქსელის გასაფართოებლად ძალიან მცირე ხარჯებს იღებდა.

უაღრესად საინტერესოა ქედის სკოლის დაარსების ისტორია. აჭარის მოსახლეობა სღრმად ჰქონდათგაცნობიერებული, რომ ისინი ქართველები არიან. ქართულ ენაზე მეტყველებენ და ქართული გვარი აქვთ. სწორედ ასეთმა რწმენამ დიდი როლი შეასრულა აჭარის განთავისუფლებასა და ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში, მაგრამ მუსლიმანური ფანატიზმი უარყოფით გავლენას ახდენდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველტა სულიერ შეკავშირებაზე. აჭარის მოსახლეობის განათლების დაბალი დონე იყო ერთ-ერთი სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორი ამ პრობლემის გადასაჭრელად, ქართველი მოწინავე ინტელიგენცია სწორედ ამ კუთხით აწარმოებდა მუშაობას, მაგრამ ხსირ შემთხვევაში ფინანსების უქონლობის გამო აჭარაში პირველ დაწყებითი სკოლების გახსნა ვერ ხერხდებოდა. გულისტკივილს გამოხატავს აჭარის მკვიდრი, თვითნასწავლი ჟურნალისტი აბდულ მიქელაძე: „..აქაურები დიდი ხვეწნით იხვეწებიან, რომ ქედაში როგორმე სკოლა გაგვიმართონ ჩვენ მოძმე ქართველებმაო, იხვეწებიან იმიტომ, რომ ჩვენ თავის პატრონობის ძალა არ გვაქვს, უამისოდ ამოდენა მოწყვეტილ ქართველ მაჰმადიანობას დიდი შიში მოელის ჩვენ ძმებ ქართველებთან ერთი სკოლა და წიგნებიღა შეგვაერთებს ცოდონი ვართ უსწავლელად და უპატრონოდ დავრჩეთ ამდენი ხალხი.“(170)

აბდულ მიქელაძე 1892 წ. დაწერილ წერილში და მომდევნო წლებშიც გამოქვეყნებულ წერილებშიც ძალიან ამაღელვებელი ტონით ეხვეწებოდა ქედაში ქართული სკოლის გახსნას, მაგრამ ამაოდ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ა. ფრონელმა (ა. ყოფშიძე) გამოაქვეყნა საკმაოდ მწვავე და მხარდამჭერი წერილი „ივერიაში“, სადაც წერს: „არა მგონია, რომ ქართველობამ ყური არ უგდოს და არ შეისმინოს ეს ვედრება, მერე როცა ასეთი მცირე დახმარებაა საჭირო, რომსალაპარაკოდაც არა ჰღირს. აბა რა

უნდა იყოს ერთი სკოლის გამართვა მოუნდეს ბევრი-ბევრიწელიწადში სულ სამოცი თუმანი. ამ ხარჯის გაწევა ერთს შეძლებულ კაცს შეუძლია წლითი-წლობამდე, არამც თუ მთელ ერისათვის იყოს გასაჭირი“.(103)

1894 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორის სლავოჩინსკის შუამდგომლობით ქედაში, თვალსაჩინო ადგილას გამოყოფილ იქნა საუკეთესო მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა დაეარსებინათ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ თანხების უქონლობის გამო მსენებლობის დაწყება ვერ მოხერხდა. ქედის მაზრის 2557 კომლიდან სკოლისთვის შეგროვდა 4106 და ადგილობრივი მეცენატების დახმარებით მოხერხდა არა სამეურნეო არამედ ორკლასისნი სასწავლებლის დაარსება: „1903 წლის 7 ოქტომბერს რუსეთის განათლების სამინისტრომ ქედის მაზრაში გახსნა ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი. სწავლების ვადა 5 წელი სწავლების პირველი სამი წელი პირველ კლასს ნიშნავდა, ხოლო 4-5 წელი მეორე კლასს.“(61)

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აჭარის სოფლებშიც გაიხსნა სკოლები: 1885 წელს ახალშენში(ბათუმის მაზრა), 1899 წელს - დაგვაში (ქობულეთის მაზრა), 1903 წელს-ორთაბათუმში, (ბათუმის მაზრა), 1904 წელს -კვირიკეში (ქობულეთის მაზრა), 1905 წელს ქედაში (ქედის მაზრა), 1908 წელს ბარცხანაში (ბათუმის მაზრა), 1910 წელს - ჩაქვში, 1913 წელს მახუნცეთში, 1914 წელს ქაქუთსა და ალამბარში, 1916 წელს - ბობოყვათში.“(22;28;29)

აჭარის სკოლები განიცდიდენ კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობას აჭარაში არ არსებობდა საშუალო და უმარლესი პედაგოგიური სასწავლებელი. 1912 წელს დაისვა საკითხი ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის შესახებ; ქალაქის მმართველობამ ამ საკითხზე დადგენილებაც მიიღო მაგრამ იგი ვერ განხორციელდა; პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ არარავის უფიქრია ინსტიტუტის გახსნა. „ ცოტა ხნის შემდეგ გაიხსნა ორწლიანი პედაგოგიური კურსები. ამ კურსებზე ქალებსაც შეეძლოთ ესწავლათ. კურსებმა იარსება 1917 წლამდე .“ (34;83)

მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში, მართალია, გაიზარდა სკოლების რიცხვი (აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც საერთო სწავლების ფერხულში), მაგრამ სწავლების შინაარშის შეზღუდულობა, ქართული ენის მეორეხარისხოვან და არასავალდებულო საგნად გამოცხადება ხელს უშლიდა მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბებას, რაც დიდ დაღს ასვამდა აჭარის მოსწავლე -ახალგაზრდობის ერონულ ცნობიერებას. არსებული მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მისი სწავლება შემთხვევით პირებს ქონდათ მინდობილი. თანაც ქართული ენის მასწავლებელი უფრო ნაკლებ ხელფასს ღებულობდა, ვიდრე სხვა საგნის მასწავლებელი. ქართული ენის უგულებელყოფის დადასტურებაა ის ფაქტიც რომ დაწყებითი სახალხო სკოლების გეგმებით I,II,III განყოფილებებში საღვრთო სჯულს ექვსი კვირეული საათი ეთმობოდა, რუსულს -რვა, ხოლო ქართულს - სამი.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც, რომლის პირველ განყოფილებაში ქართულ ენას ექვსი საათი ხოლო მეორეში - სამი, მესამეში - ორი და უკანასკნელ მეოთხე განყოფილებასი მხოლოდ ერთი საათი. საბუნებისმეტყველო-მათემატიკური დისციპლინებიდან კი მხოლოდ არითმეტიკის ელემენტარულ კურსს ასწავლიდნენ.

დედაენის დევნა-შევიწროება იქამდე მივიდა, რომ კავკასის მეფისნაცვალი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, 1907 წელს კავკასის მხარის შესახებ მეფისადმი წარდგენილ მოხსენებაში წერდა: „კავკასის სახალხო სკოლა არ იძევა არც საერთო განვითარებას, არც რუსული ენის ხეირიან ცოდნას, არც წერა-კითხვის ცოდნას, ამიტომ მოსახლეობა მას უსარგებლოდ და საზიანოდაც კი მიიჩნევს ვინაიდან ბავშვებს შინაური სამუშაოსგან აშორებს და ამიტომ ისინი სოფლის მეურნეობის გაძღოლასაც ვერარ ეჩვევიანო“.(83;13)

აჭარის მოსახლეობის პროგრესული ნაწილი მოითხოვდა სკოლებში ქართული ენის სავალდებულო საგნად დამკვიდრებას და მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, მნიშვნელოვან წარმატებასაც კი მიაღწიეს, თუმცა მთავრობა აქაც სპეციალურ გართულებებს ქმნიდა იმ თვალსაზრისით, რომ აწესებდა გადასახადს 16-18 მანეთს წელიწადში, რასაც გაღატაკებულ ოჯახებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

1915 წლის ზაფხულში ომით გამოწვეულ ვითარებასთან დაკავშირებით ხულოოში ჩავიდა გენერალი პოროშინი.მოსახლეობის წარმომადგენლებმა გენერალისადმი თხოვნაში ხაზი გაუსვეს იმას, რომ ისინი ქართველები იყვნენ და სკოლაში ქართული ენის სწავლის ნებართვას ითხოვდნენ. „ შარშან ომის დაწყებამდე მხოლოდ ამის თქმა შეძლეს მხოლოდ ჩურუქსუელებმა , წლეულს შუაგულ აჭარაშიც ითხოვდნენ ქართული ენის სწავლების შემოღებას და ისიც იმ დროს როცა მთავრობის დიდი მოხელე მათთან სულ სხვა ანგარიშის გასასწორებლად არის ამოსული... ხულოელებს მტკიცედ მოუთხოვიათ „ომმა დაგვაზარალა გთხოვთ დახმარებას, პურსა და სკოლაში ქართული ენის სწავლებასო.“(1)

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის თვითმპყრობლობა სახალხო სასწავლებლების მატერიალური უფლებების დასაცავად ნაკლებად ზრუნავდა, რასაც ნათლად ადასტურებს აჭარაში სახალხო სკოლების ინსპექტორის კ. დ. მაჭავარიანის წიგნში მოყვანილი ობიექტური მასალა. რაშიც ასახულია მასწავლებლის უმწეო უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა, აი რას წერს ავტორი: „ ყველაზე უზრუნველყოფილი მთავრობის მამასახლისი ღებულობს 30-დან 40 მანეთამდე, ლაქიები,მზარეულები და მეეზოვეები- იმდენსავე, მასწავლებელს კი ეუბნებიან: იცხოვრე 28მანეთითა და 20 კაპიკით.“(134;4-5)

ქვემოთ წარმოვადგენთ სასკოლო განათლების ქსელს ბათუმში (ბათუმის ოლქში) რუსეთის თვითმპყრობლობის პერიოდში 1878-1917წწ.

	სასწავლო დაწესებულების დასახელება	დარსების წელი
1	ბათუმის ბერზენთა სასწავლებელი	1861
2	კომაროვის რუსული ორკლასიანი სასწავლებელი	1879
3	ივანოვის სახელობის კერძო სამკლასიანი სასწავლებელი	1880
4	მიხაილოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1880
5	ბათუმის საქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი	1881
6	„ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების“ ბათუმის დაწყებითი სკოლა	1881
7	ართვინის დაწყებითი სასწავლებელი	1883
8	ბათუმის ბერძენთა სასულიერ-სამრევლო სასწავლებელი	1883
9	ბათუმის ქალთა ერთკლასიანი კერძო სასწავლებელი	1885
10	ახალსენის ორკლასიანი სასწავლებელი	1885
11	ბატუმის ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი	1886
12	ბათუმის სომეხ-გრიგოლიანელთა სასწავლებელი	1887
13	ბათუმის პალიევას კერძო სასწავლებელი	1888
14	ბათუმის რუსული სამკლასიანი სასწავლებელი	1889
15	ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი	1889
16	ბათუმის ბერძენთა დაწყებითი სასწავლებელი	1890
17	ბათუმის რუსული ორკლასიანი სასწავლებელი	1892

18	ლებედევას კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1893

19	არტანუჯის დაწყებიტი სასწავლებელი	1894
20	სობოროსთან არსებული სასულიერო სასწავლებელი	1894
21	ხოლოდნო-სლობოსკის ორკლასიანი სასწავლებელი	1895
22	ჩურუქ-სუს ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი	1895
23	ბათუმის ვაჟთა გიმნაზია	1897
24	ხულოს ორკლასიანი სასწავლებელი	1897
25	ართვინში-სათლების დაწყებითი სასწავლებელი	1898
26	მარადიდის ერთკლასიანი სასწავლებელი	1898
27	ქალთა ქართული სასწავლებელი	1898
28	ვაჟთა ქართული სასწავლებელი	1899
29	ბათუმის პუსკინის სახელობის ერთკლასიანი სასწავლებელი	1899
30	აჭარისწყლის დაწყებითი სასწავლებელი	1899
31	აჭყვის სასოფლო საბჭოს ორკლასიანი სასწავლებელი	1899
32	დაგვის ერთკლასიანი სასწავლებელი	1899
33	ბათუმის ქალთა გიმნაზია	1900
34	ბათუმის წულუკიძის კერძო სასწავლებელი	1900
35	ბათუმის ჟელტიუხინას კერძო სასწავლებელი	1902
36	ბათუმის მეფისოვას კერძო სასჭავლებელი	1903
37	ჩურუქ-სუს ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი	1903
38	ორთაბათუმის დაწყებითი სასწავლებელი	1903
39	ბათუმის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებელი	1903
40	ბათუმის გოგოლის სახელობის	1903

	სასწავლებელი	
41	ხერთვისის ერთკლასიანი სასწავლერბელი	1903
42	ქედის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი	1903

43	ევრიკეს ერთკლასიანი სასწავლებელი	1904
44	ბათუმის რკინიგზის ნორმალური სასწავლებელი	1907
45	ბათუმის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებელი	1908
46	ბარცხანის ერთკლასიანი სასწავლებელი	1908
47	ბათუმის არნოლდის კერძო პროგიმნაზია	1908
48	მურდულის ორკლასიანი სასწავლებელი	1909
49	ბორჩხის ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
50	სოფელ მარადიდის ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
51	სამწყაროს ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
52	ჩაქვის ერთკლასიანი სასწავლებელი	1910
53	ბერაიას კერძო სასწავლებელი	1912
54	მახუნცეთის დაწყებითი სასწავლებელი	1913
55	ქაქუთის დაწყებითი სასწავლებელი	1914
56	ალამბრის დაწყებითი სასწავლებელი	1916
57	ხუცუბნის დაწყებითი სასწავლებელი	1916
58	თხილვანის დაწყებითი სასწავლებელი	1916
59	ოლადაურის დაწყებითი სასწავლებელი	1916
60	ფაჩხის დაწყებითი სასწავლებელი	1916
61	ადაძეების დაწყებითი სასწავლებელი	1916
62	ჭვანის დაწყებითი სასწავლებელი	1916
63	დიოკნისის დაწყებითი სასწავლებელი	1916
64	ყოროლისთავის დაწყებითი სასწავლებელი	1916
65	ხუცუბნის დაწყებითი სასწავლებელი	1916
66	ჩხუტუნეთის დაწყებითი სასწავლებელი	1916

67	ქვედა აგარის დაწყებითი სასწავლებელი	1916
68	ზედა აგარის დაწყებითი სასწავლებელი	1916
69	წყალსიმერის დაწყებითი სასწავლებელი	1916
70	არდაგანის დაწყებითი სასწავლებელი	1916
71	ბობოყვათის დაწყებითი სასწავლებელი	1916

ცხრილი შედგენილია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის და საარქიო დოკუმენტების საფუძველზე აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იმდროისთვის აჭარაში არსებობდა ქალთა ბერძნული სასულიერო-სამრევლო სკოლა. ბათუმის გუბერნატორი 1910 წელს მოხსენებაში იუწყება, რომ იყო ბარძნული სასულიერო-სამრევლო სკოლა, თუმცა საარქიო მასალებით არ დასტურდება. ამის მიზეზი შემდეგი უნდა იყოს იმ დროისთვის აჭარაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბერძენი მოსახლეობა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხსნიდა სასულიერო-სამრევლო სასწავლებლებს და ამის შესახებ საქმის ყურში არ აყენებდა ცარიზმის უწყების მოხელეებს. ცხრილით ირკვევა რომ 1917 წელისათვის იყო 71 სასწავლებელი; აქედან ქართული სასწავლებელი 11, კერძო სასწავლებელი 10,ბერძენთა და სომეხთა სასულიერო სასწავლებელი 3, ბერძენთა სასწავლებელი (ცარიზმამდე)-1, დანარჩენი სკოლები- 46.

ასე რომ ცარიზმის თვითმპყრობლური პოლიტიკა საქართველოში ერტიანად გამოხატულ კოლონიურ ხასიათს ატარებდა ცარიზმი ცდილობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემა მაქსიმალურად დაექვემდებაროს საერთო საგანმანათლებლო სისტემას. სწორედ ასეთი პოლიტიკის ერთგულ გამატარებლად საქარტველოში სახალხო განათლების მზრუნველად მოვნელილი იანოვსკი ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს სასწავლებლებში ამოეფხვრა ქართული ენის სწავლება, ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისათვის ბურჯი გამოეცალა და მოეხდინა ადგილობრივი მოსახლეობის სრული ასიმილაცია.

აწარაში თურქების განდევნის და რუსების თვითმპყრობლობის დამკვიდრების შემდეგ, ცარიზმი ერთობ ნელა ზრდიდა აჭარის სასკოლო განვითარების ქსელს და ხელს უწყობდა ფეხი მოეკიდა მაჰმადიანურ სასულიერო სასწავლებელს და მედრესეებს. ცარიზმის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემდაბლებინათ ქართული ენის ღირსება და ამით ამოფხვრათ ქათველებში ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდო ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს შორის.

ცარიზმის მიერ აჭარაში დაარსებული სასწავლებლები ვერ ახერხებდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სასწავლო-აღმზდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ აზრს და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.

აჭარაში დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახლეობაში წერა-კითხვასა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვან საქმეში.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი

რუსეთში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები 1914 წლამდე მოიხსენიებოდნენ „დაბალი ტიპის სასწავლებლად“. ისინი წარმოადგენდნენ ხიდს დაწყებითსა და საშუალო ტიპის სასწავლებლებს შორის.

ამ ტიპის სკოლები ამზადებდნენ არა მარტო მასწავლებელთა კადრებს ადგილობრივი დაწყებითი სკოლებისსათვის , არამედ არამედ იძლეოდნენ გარკვეულ ცოდნას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი სწორედ ამ ტიპის სასწავლებელს განეკუთნებოდა, რომელიც სამკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეთა სახელოსნო ბაზაზე იყო.

ბათუმის მზარდი მრეწველობა მოითხოვდა კვალიფიცირ ტექნიკურ სასწავლებელს, რაც იმდროინდელი ბათუმის ოლქში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, მათი მასობრივი მომზადება, კვალიფიციის ამაღლება უნდა მომხდარიყო სახელოსნო და ტექნიკურ სასწავლებელში, რათა არ შენელებულიყო მრეწველობის ძრდის ტემპი, ამასვე ადასტურებს რუსეთის ფინანსთა მინისტრის განცხადებაც: „ისეთ ადგილებში, როგორიცა ბათმი თავის საყოფაცხოვრებო და ტექნიკური პირობების მიხედვით, მიზანშეწოლილია გაიხსნას სამრეწველო სასწავლებლები, ვიდრე გიმნაზიები“.(62;6)

სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ ბათუმში უნდა გახსნილიყო ტექნიკური სასწავლებელი. ქალაქის სათათბირომ დადებითად შეხვდა ამ ღონისძიებას. იმავე წლის 21 სექტემბრის სხდომაზე დადგინდა, რომ საჭიროებისათვის გამოიყოფა ოთხიათასი მანეთი.

ამაწლის აგვისტოში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ბათუმის ქალაქის თავს აცნობა, რომ განათლების მინისტრმა წინადადება მისცა მიეღო ზომები, რათა 1889 წლის სექტემბერში ბათუმში გახსნილიყო სამკლასიანი სახელოსნო სასწავლებელი. პირველ ხანებში მხოლოდ პირველი კლასი სადურგლო და სახელოსნო ჯგუფებით. იანოვსკიმ მოითხოვათ გაეგზავნათ სასწავლებლისათვის დაქირავებული შენობის გეგმა.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა 1889 წლის ოქტომბერში, ადმირალ ი. ს. ისაკოვის სახელობისა იყო, სასწავლებლის გაფართოების მიზნით ქალაქმა გამოყო 7771 მანეთი, ეს იმ თანხის რომლის სახელმწიფო ხაზინამ სახელოსნო შენობის ასაგებად გაღო 47 მანეთი და 30 კაპიკი.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი ექვემდებარებოდა კავკასის ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას, რომელიც შედიოდა ამ დირექციის მე-3 რაიონში (ბათუმის ოკრუგისა და ქუთაისის მაზრის სასწავლო დაწესებულებები შეადგენდნენ ქუთაისის მაზრის სახალხო სკოლების დირექციის მე-3 რაიონს).

1889 წლისთვის ბათუმის სახელოსნო სასწავლებელს ქალაქის მცხოვრებლების მიერ, გაწეული სახსრების მეშვეობით, რამდენიმე საკუთარი შენობა გარდა ბაღისა და შეპელოვის , სმეკალოვისა ქუჩების გადაკვეთაში მდებარე ორი შნობა.

ბათუმიოს სახელოსნო სასწავლებელი იყო პირველი ერთადერთი საქართველოში, რომელიც ხაზინის ხარჯზე გაიხსნა.ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ სწავლა აქ მთლიანად რუსულ ენაზე წარმოებდა“.

თბილისისა და სხვა ქალაქების სახელოსნო სასწავლებლები მოსახლეობის ხარჯით არსებობდა. ამიტომ, მართალია, დიდი ბრძოლით მაგრამ მაინც ახერხებდნენ ბავშვების მშობლიურ ენაზე სწავლებას. ქართველებისთვის ქართულად, რუსებისთვის რუსულად და სომხებიუსთვის სომხურად, სანამ 1901 წელს განათლების მინისტრის ბრძანებით ყველა ქალქის სასწავლებელში და დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე არ განხორციელდა.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში თავიდანვე, ე.ი. 1889 წლიდან ისწავლება „სადურგლო, სახარატო, საზეინკლო და სამომხმარებლო საქმე“.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაზე გამოყოფილი საათები 1893-1994 სასწავლო წლებში ამდაგვარად გამოიყურება.

	სასწავლო საგნები	კვირეული საათების რაოდენობა კლასში			ჯამი
		I	II	III	
1	საღვრთო რჯული	2	2	1	5
2	რუსული ენა	4	4	3	11
3	არითმეტიკა	3	3	2	8
4	გეომეტრია	2	2	1	5
5	რუსეთის ისტორია	1	1	1	3
6	გეიგრაფია	1	1	1	3
7	ბოტანიკა და მინერალოგია	1	1	-	2
8	ხატვა	2	2	5	9
9	ხაზვა	2	2	5	9
10	ჯამი	18	18	17	53

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეთა შემადგენლობა ეროვნების მხრივ შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსი , ქართველი, სომეხი, ებრაელი, და სხვა ეროვნების..

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში მეცადინეოდა დილის 8 საათზე იწყებოდა და გრძელდებოდა 11 საათამდე. ამ პერიოდში მოსწავლეები გადიოდნენ სასწავლო დისციპლინის კურსს, ხოლო 12 საათზე იწყებოდა პრაქტიკული მეცადინეობა და მთავრდებოდა 16 საათზე. სახელოსნო სასწავლებელში სწავლა იწყებოდა 1 სექტემბერს და მთავრდებოდა 20 ივნისს.

სასწავლებელში მიიღბოდენ ბავშვები 12 წლის ასაკიდან, კონტიგენტი ძირითადათ ღარიბთა შვილებისგან კომპლექტდებოდა. დაბალი ფენა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა, რომ მათი შვილები დაუფლებოდნენ თუნდაც უბრალო პროფესიას, რომ შემდეგ ცხოვრებაში გზა გაეკაფათ და სატანადო ადგილი დაემკვიდრებინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„სასწავლებლის პროგრამას ამტკიცებდა განათლების სამინისტრო. სასწავლებელს ჰქონდა პანსიონი, სადაც პირველ წელს 22 მოსწავლე მიიღეს კავკასიაში ეს ყველაზე დიდი პანსიონი ყოფილა იმდროისთვის, სასწავლებელს სამი კლასი ჰქონდა , ხოლო 1893 წელს გაიხსნა მე-4 დამატებითი კლასი, მათთვის ვისაც ოსტატის წოდების მოპოვება უნდოდა. ამავე წელს სასწავლებელში დაუწყიათ 15 წლის ასაკის ბავშვების მიღება.“(91;31)

სასწავლებელში დასჯის ერთ-ერთ მეთოდათ ითვლებოდა სასწავლებლიდან გარიცხვა. არავინ ზრუნვადა იმისათვის, რომ შეესწავლათ მოსწავლის სულიერი მატერიალური მდგომარეობა. ვინც ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსა და საწარმოო სფეროში სფეროში წარმატებას ვერ მიღწევდა, სასწავლებლიდან ირიცხებოდა.

1895 წელს სასწავლებელში იხსნება სასოფლო-სამეურნეო, ხოლო 1909 წელს იწყება აბრეშუმსახვევი და ნოხების საქსოვი დაზგების დამზადებაც. უნდა არინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ საქართველოში, აბრეშუმის წარმოების სიმცირის გამო, ამ დარგის სპეციალისტები ხშირად უმუშევარი რჩებოდნენ. ამის ნათელ სურათს ქმნის აჭარის ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი სტატისტიკური მონაცემები: „1914 წლისთვის ბათუმის სახელოსნო სასწავლებელის კურსდამთავრებულ მქსოველთაგან დასაქმებული იყო მხოლოდ ათი პროცენტი.“(25)

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში სწავლების პროცესს ართულებდა შენობის მცირე ფართი და მასში არსებული მძიმე ჰიგიებური მდგომარეობა. ძველსა და უვარგის შენობაში საჭირო იყო ტემპერატურის შენარჩუნება, რაც არ ხერხდებოდა. აბრეშუმსა და მატყლის საღებავ განყოფილებას ესაჭიროება ორთქლის ძალა, რაც მას არ გააჩნდა. არსებული ტექნიკური მოწყობილობა კი ძლიერ მოძველებული იყო, ასევე მოძველებული ხერხებით ხორციელდებოდა შეღებვის ოპერაციები, არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა მოსწავლეთა მომზადების ძლიერ დაბალი დონე ზოგადი, თეორიული განათლების მხრივ და მისი შეუსაბამობა პრაქტიკულ საქმიანობასთან, ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში არაერთხელ დაისვა საკითხი აბრეშუმსახვევ და ნოხების საქსოვ განყოფილებაში, აგრეთვე მღებავთათვის ქიმიის მოკლე და მარტივი კურსის სწავლების შესახებ, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა.

ხაზინიდან გამოყოფილი სახსრები არ იყო საკმარისი ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის ახალი ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველსაყოფად, რაც უარყოფითად აისახებოდა მოსწავლეთა პროფესიულ მომზადების დონეზე. მეთოდურათ გაუმართავი პროგრამით მეცადინეობას და ხშირ შემთხვევაში კერძო, გაუთვალისწინებელი, სამუშაოების შესრულებას ნეგატიური ზეგავლენა ჰქონდა მოსწავლეთა კვალიფიციურ დახელოვნებაზე. შოთა თოდაძე წერდა: „ხშირად მიმართავდნენ უსისტემო, კერძო სამუშაოების შესრულებას, რაც დიდ ზიანს აყენებდა მოსწავლეთა პროფესიულ დახელოვნებას. ასეთი გადახვევების მიზეზი ისიც გახლდათ, რომ სასწავლებელს არ გააჩნდა არსებობისთვის საკმაო

მატერიალური წყარო, ვერ ეტეოდა ხაზინის მიერ მისთვის განკუთვნილ სახსრებში.(62;9)

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი დაარსების დღიდან , ე. ი. 1889 წლიდან 1913 წლამდე დაამთავრა 235 კაცმა, ხოლო განითესა 531 კაცი.

ცნობილია, რომ სასწავლებელი ძირითადად კომპლექტდებოდა ღარიბთა შვილებით, ამიტომ ხშირად ბავშვი ასე თუ ისე დაეუფლებოდა თუ არა ხელოვნებას, მშობლებს გამოყავდათ ისინი სკოლიდან და კერძო ოსტატს მიაბარებდნენ. ის იმედი, რომ ოსტატი მათ შვილებს რამე გასამრჯელოს მაინც მისცემდა, მალე უცრუვდებოდა. ნაწილ მოსწავლეებისა, ზოგიერთი ღატაკი მშობლების შვილები - მოსამსახურედ რჩებოდნენ, მოსწავლეების ნაწილი კი სწავლის დამთავრებამდე კერძო სახელოსნოებსა და ქარხნებში მუშაობდა მინიმალური გასამრჯელოს საფასურად .

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის სახელოსნო სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე ვერ შეასრულა ის ფუნქცია, რასაც ბათუმის მზარდი მრეწველობის განვითარება უსახავდა მიზნად, მის არსებობას მაინც ქონდა პოზიტიური მნიშვნელობა აჭარის მოსახლეობისთვის, სხვადასხვა სამრეწველო დარგებში საჭირო უნარჩვევების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვან საქმეში.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზია

მეფის რუსეთში საშუალო განათლება ძირითადათ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში მიიღებოდა. ვაჟთა გიმნაზია იყო ის სასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს ამზადებდა საუნივერსიტეტო განათლებისთვის. უნივერსიტეტში ყველა შემსვლელს უნდა ჰქონოდა სიმწიფის ადესტატი, რომლის მისაღებად გიმნაზიაში სათანადო გამოცდის ჩაბარება იყო საჭირო.

1893 წელს ბათუმის მოსწავლეთა ინტელიგენციამ დასვა საკითხი ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის გახსნის შესახებ. გიმნაზიის გახსნას დიდად შეუწყო ხელი ლ. ასათიანმა, რომელიც 1895 წელს ბათუმის ქალაქის თავად აირჩიეს. გიმნაზიის ასაგებად პირველ რიგში საჭირო იყო ფულის შოვნა, რაშიც დიდი როლი ითამაშა მისმა ავტორიტეტმა მეფის კარზე. ზია აბაშიძემ კი ვაჟთა გიმნაზიისთვის (ახლანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) საკუთარი მიწის ნაკვეთიდან გამოუყო მიწის ნაკვეთი.

საარქივო მასალებში დღესაც დაცულია ზია სანჯავა ბეგ აბაშიძის მიმართვა, ბათუმის ქალაქის მმართველობისადმი: „მაქვს სურვილი დავეხმარო ქალაქს. ვჩუქნი ქალაქის გიმნაზიისთვის 3000 საჟენ მიწის ფართობს (პეტერბურგის ქუჩის გაგრძელებაზე), რათა ამ უბანზე აშენებული იქნას გიმნაზია . ამ განცხადებით

გთხოვთ მმართველობამ აცნობონ სათათბიროს.“ ქ. ბათუმი, 12 მაისი 1897 წ. (ბოლოს მითითებულია მისი ხელმოწერაც.)(30;17)

1897 წლის 14 სექტემბერს სადეღესასწაულო ვიტარებაში გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია. ვაჟთა გიმნაზიის გახსნის პირველ წელს იყო ერთი მოსამზადებელი და ორი პირველი კლასი თავდაპირველად ჩაირიცხა 21 მოსწავლე.

გიმნაზია გახსნის შემდეგ, ქალაქის თვითმმართველობამ თავის თავზე აიღო გიმნაზიის ახალი, კაპიტალური შენობის აგება ისინი ფიქრობდნენ, რომ ორ წელიწადში შესაძლებელი იქნებოდა შენობის დასრულება, მაგრამ მშენებლობის პროცესები ვადაში გაიწელა და 1902 წელამდე შენობა ექსპულატაციაში ვერ შევიდა.

გიმნაზიას გააჩნდა ბიბლიოთეკა, რომელიც არც თუ ისე მდიდარი იყო წიგნადი ფონდით, მაგრამ მომდევნო წლებში მდგომარეობა გაუმჯობესდა და 1913 წელისათვის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში იყო 5583 წიგნი 9485 მანეთის ღირებულების გიმნაზია აღჭურვილი იყო ქიმიური ლაბორატორიით, ფიზკულტურის კაბინეტით,რომელშიც საკმაო რაოდენობით არსებობდა სპორტული ინვენტარიც. 1909 წელისათვის გაიხსნა სახელოსნოც. სადაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ ხეზე მუშაობის წესებს. გიმნაზიასთან მოქმედებდა მეტეოროლოგიური სადგურიც.

გიმნაზია ძირითადათ ფინანსდებოდა სახელმწიფო დოტაციის, ქალაქის თვითმმართველობის სუბსიდირების, მოსწავლეთა სწავლების საფასურის ხარჯზე. გიმნაზიის გახსნისას სწავლების ღირებულება 1 მოსწავლეზე წელიწადში შეადგენდა 50 მანეთს, 1901 წლისთვის 60 მანეთს, მომდევნო წლებში სწავლის საფასურის ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

იმ დროისთვის სწავლების ასეთი საფასური საკმაოდ მაღალი იყო. ფაქტიურად, აჭარის დაბალი ფენის მოსახლეობას არ გააჩნდა საამისო საშუალება გიმნაზიაში განათლების მისაღებად. ამ აზრს ადასტურებს კავკასის სასწავლო მზრუნველის ანგარიშიც. 1910 წელის აღწერაში, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეთა სოციალური სემადგენლობის შესახებ წერდა. „ გიმნაზიაში ირიცხებიან: 1) ბავშვები წარჩინებული გვარებიდან - 50; 2)ჩინოვნიკებიდან -82; 3) სასულიერო წრიდან -18; 4)ვაჭრებიდან - 53; 5) მეშჩანებიდან -18 და 9) სხვა დანარჩენი 11. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 409.“(136)

დასახელებული 64 გლეხის შვილებიდან აჭარის მკვიდრი მოსახლეობიდან მხოლოდ 15 ბავშვი იყო.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული სასწავლო საგნების სწავლება ხშირად ატარებდა არამიზნობრივ, სტიქიურ ხასიათს. ისეთი დისციპლინების როგორებიც იყო: ღვთის კანონი, რუსული, ლათინური, ფრანგული, გერმანული ენები. ამ საგნებს ეთმობოდა საათების მეტი რაოდენობა ვიდრე სხვა საგნებს, რომლისთვისაც

გამოყოფილი საათები არ იყო საკმარისი ამ დისციპლინების სრულად შესასწავლად. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავდაპირველად, 1905 წელამდე სასწავლო საგნების ჩამონათვალში ვერ ვხდებოდით ვერც ქართულს,ვერც სომხურს და ვერც ბერძნულ ენებს. ამ საგნების სწავლება 1905 წლისთვის დაიწყო და ისიც საათების მცირე რაოდენობით.

ქვემოთ მოგვყვავს 1913- 1914 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა ბათუმის ვაჭთა გიმნაზიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატებოდა კვირეულ 25 საათს .

N	საგანთა სია	საათების რაოდენობა
1	ღვთის კანონი(სჯული)	26
2	რუსული ენა	61
3	ლათინური ენა	45
4	ფრანგული ენა	41
5	გერმანული ენა	23
6	მათემატიკა	21
7	ფიზიკა	15
8	ისტორია	19
9	გეოგრაფია	12
10	ბუნების მცოდნეობა	4
11	კანონმცოდნეობა	3
12	ფილოსოფია	2
13	სუფთა წერა	8
14	ხატვა	14
15	სიმღერა	6
16	გიმნასტიკა	14
17	ქართული	15
18	სომხური	6
19	ბერძნული	10
20	კათოლიკური ღვთ. კანონი	3
21	მაჰმად. ღვთ. კანონი	2

ამ საგნების სწავლებას ემსახურებოდა 23 მასწავლებელი, რომელთა შორისაც იყვნენ უნივერსიტეტის, ინსტიტუტის, სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულები, საშუალო, ტექნიკური განათლების მქონე კადრებიც. ზოგიერთ საგანში

არაკვალიფიციური კადრების არსებობა განაპირობებდა ამ საგნის დაბალ დონეზე სწავლებას, რაც ბუნებრივ პროცესად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ მათი თვიური ხელფასი ექვსჯელ და შვიდჯერ აღემატებოდა იმდროისთვის დაწყებით სკოლებში მომუშავეთა ხელფასს, სასწავლო-აღმზრდელობითი დონე მაინც არ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები ხშირად მართავდნენ ექვსკურსიებს. 1911 წელს უშუალოდ ქალაქის მმართველობის ხელშეწყობით ექვსკურსია მოუწყვიათ მასწავლებელ მახანის ხელმძღვანელობით ბულგარეთში, სერბიასა და ავსტრიაში, 21 კაცის შემადგენლობით.

გიმნაზიის სასწავლო-აღმზდელობითი საქმიანობის ერთ-ერთ შემაფერხებელ საქმიანობად მიჩნეული იყო მისი სიახლოვე ციხესთან ის რაც ციხის ეზოში ხდებოდა, ხელისგულივით ჩანდა გიმნაზიის ფანჯრებიდან. მოსწავლეთ თვალწინ შეურაცხყოფდნენ პატიმრებს, ილახებოდა მათი უფლებები, რაც მოსწავლეებში არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტს იწვევდა.

ამ ციხეში სასჯელს იხდიდნე მოსწავლეთა მშობლები და ახლობლები. ამავე ციხეში, გიმნაზიის მესამე კლასის მასწავლებლის არნოლდის მკვლელობის გამო, სასჯელს იხდიდა ოთხი მოსწავლე, ამათგან სამზე მითითებულია დანაშაულის მუხლიც.

1903-1904 სასწავლო წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ პატიმართა ამბოხებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მოსწავლეებზე. აწარის მკვიდროი მოსახლეობა გაბედულად იბრძოდა გარუსების პოლიტიკის წინაარმდეგ. ამ პროცესზე ძლიერი გავლენა მოახდინა 1902 წლის თებერვალ-მარტის გაფიცვებმა და დემოსტრაციებმა. რევოლუციურ მოძრაობაში ბატუმის სასწავლებლებს შორის სწორედ წამყვანი ადგილი ბათუმის ვაჟთა გიმნაზიას ეჭირა.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზია იმ დრისთვის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლებოდა, რასაც მოსწავლეთა კონტიგენტის მკვეთრი ზრდა მეტყველებს. 1913 წ. ამ სასწავლებლის დირექტორის ჰენკელის მოხსენებით ირკვევა, რომ 1912 წელის 1 დეკემბრისთის ამ გიმნაზიის მოსწავლეთა კონტიგენტი 460 შეადგენს შემდეგი კლასების მიხედვით:

8 7 6 5 5 4 4 3 3 2 2 1 1

ამრიგად, 1897 წელს გახსნილ ბათუმის ვაჟთა გიმნაზია წარმოადგენდა ცარიზმის ინტერესების გამტარებელ, ბათუმის ოლქში გახსნილ ბათუმის ყველაზე უფრო ავტორიტეტულ სასწავლებელს, რომელში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესი არ პასუხობდა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მოთხოვნებს. რუსულ ენაზე სწავლება, სწავლის მარალი საფასური, პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო აქაური მკვიდრი მოსახლეობისათვის, თუმცა მის არსებობას მაინც გააჩნდა

გარკვეული მნიშვნელობა ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობის ზოგადი განათლების მიღებაში.

ბათუმის ქალთა გიმნაზია

მეფის რუსეთში სასუალო განათლებას ქალთა გიმნაზიაც იძლეოდა, მაგრამ საშუალო განათლების მქონე ქალებს უმაღლეს სასწავლებელში არ იღებდნენ. მათთვის რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოქმედებდა 4 -5 წლიანი კურსები.

1897 წელს ქ. ბათუმის საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად განიხილეს ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხიც. ოლქის მზრუნველთან გაგზავნილი თხოვნის პასუხს ორწელწადნახევარზე მეტი დასჭირდა, მხოლოდ 1900 წელს ოლქის მზრუნველმა ქალაქის თავს ლუკა ასათიანს არაოფიციალურად საიდუმლოდ მისწერა, რომ ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნა გამოიწვევს ინტელიგენტი ქალების გამრავლებას, რაც არასასურველიაო, მით უფრო ქალთა გიმნაზია აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მეტლეების და მათ მსგავსთა შვილებითო. ოფიციალურად კი სკოლის გახსნა ვერ ხვდებოდა თითქოსდა სახსრების უქონლობის გამო, მაგრამ მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით ლ. ასათიანმა სკოლის გახსნის ნებართვა პეტერბურგიდან მაინც მიიღო და ქალაქის მზრუნველთა საბჭოს წევრებს მ. ელიავას, ს. ნაკაშიძის, ა. სტოვიანოვის, პ. ზიკოვის, ე. ბოგოსლავსკის, ლ. ქოქოძის დახმარებით შეძლო 1900 წ 26 სექტემბრისთვის გაეხსნა ქალთა გიმნაზია 140 მოსწავლისთვის, რომელიც პირველად კერძო ბინაში იყო მოთავსებული, ხოლო 1904 წ. მაისისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში გადავიდა (ამჟამად ბათუმის N2 საშუალო სკოლა.

გიმნაზია აღჭურვილი იყო ფიზიკური არზრდისათვის საჭირო კაბინეტებით, რომლებშიც არსებული სპორტული ინვენტარი სრულად აკმაყოფილებდა მოსწავლე გოგონათა მოთხოვნებს. 1905 წელისათვის კი ბათუმის ქალთა გიმნაზიას უკვე გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა. მოსწავლეთათვის განკუთვნილ სპეციალურ ბიბლიოთეკაში 654 დასახელების წიგნი ჰქონდათ, რომელთა საერთო ღირებულება 1020 მანეთს შეადგენდა. არსებული მონაცემები ცხადყობს რომ ბათუმის ქალთა გიმნაზიას გააჩნდა საკმაო შემოსავლები იმისთვის, რომ გიმნაზიის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ეზრუნათ, რაც დადებითად აისახებოდა სასწავლო-არმზდელობით მუშაობაზე.

საწყის ეტაპზე ლუკა ასათიანმა ადგილობრივი ბიუჯრტიდან გამონახა სახსრები ქალთა გიმნაზიაშისწავლების პროცესის ნორმალურ წარმართვისთვის; შემდეგ პერიოდში გიმნაზიაში დაწესდა სწავლის საკმაოდ მაღალი საფასური - 70 მანეთი წელიწადში, ამ დროს ქალთა გიმნაზიის შენახვის წყაროს წარმოადგენდა სუბსიდიები 2000 მანეთს, ქალაქის საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯები - 1300

მანეთს და კიდევ ის თანხა რომელიც უშუალოდ მოსწავლეებს მოჰონდათ, სულ 10,335 მანეთი.

ბათუმის ქალთა გიმნაზიის კონტიგენტი ძირითადათ კომპლექტდებოდა იმ მოსწავლეებით რომლებიც სწავლის გასაღმავებლად ქალთა გიმნაზიაშიი ირიცხებოდენ, მაგრამ ეს გიმნაზია იძლეოდა სათანადო ცოდნას. ქალთა გიმნაზიაში 1917 წლისთვის, თითოეული სასწავლო დისციპლინისთვის განკუთვნილი კვირეული საათები ასე გამოიყურება:

N	სასწავლო საგნები	
1	საღვთო სჯული	18
2	რუსული ენა	35
3	მათემატიკა	37
4	ისტორია	12
5	გეოგრაფია	10
6	ფიზიკა	8
7	ბუნებისმცოდნეობა	5
8	პედაგოგიკა	4
9	არითმრტიკა	2
10	ჰიგიენა	2
11	ფრანგული ენა	28
12	გერმანული ენა	18
13	სუფთა წერა	9
14	ხელგარჯილობა	9
15	ხატვა	18
16	გიმნისტიკა და ცეკვა	14
17	სიმღერა	4
18	სომ. საღვთო სჯული	4
19	სომხური ენა	8
20	ქართული ენა	13

მართალია ბათუმის ქალთა გიმნაზიაშიარსებული სასწავლო საგნები საკმაოდ მრავალფეროვანი ყოფილა, მაგრამ მოსწავლეთა ცოდნის დონე მაინც დაბალი იყო, რასაც ვერ ვიტყვით მოსწავლეთა ყოფაქცევაზე სანამ ბათუმში რეოლუციური მოძრაობა დაიწყებოდა, ამ სასწავლებელში მოსწავლეთა ყოფაქცევა ძალზე სამაგალითო იყო. ბათუმის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები და ვაჟთა გიმნაზიას მხარი დაუჭირეს.

რევოლუციის დამარცხების შედეგ განხორციელებული გაფიცვების დროს ზოგიერთი მოსწავლე გოგონა და მასწავლებელი დააპატიმრეს ზოგიც აჭარიდან გადასახლეს. აჭარის ცენტრალურ არქივში შენახულია სასწავლებლიდან გარიცხულ პირთა სია. ამასთან ერთად ამოღებულია საასწავლო პროგრამაში ბარსუკოვის, გოგოლის, ბელინსკის და კერძოდ, წიგნებში იმ გვერდების ამოღება, რომელიც ხელს უწყობდა მოსწავლეებში მეამოხე სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

სახალხო განათლების სამინისტროს დეპარტამენტი მიმართავს კავკასიის სასწალო ოლქის მზრუნველს, რომ მოსწალეთა მიღებისას გაეთვალისწინებინათ მათი ბიოგრაფია. განსაკუთრებული ყურადღებით შეესწავლათ სხვა ადგილიდან გადმოსახლებულტა წარსული. თუ როგორ იყო სახალხო განათლების სამინისტროს მოთხოვნა ამ სასწავლებლებისადმი, ნათლად ადასტურებს ამავე სამინისტროს ქვემდგომი განათლების ორგანოებისადმი სასწავლო-აღმზდელობითი მუშაობის საკითხებზე, რომელიც 1907 წელს 7 ივლისით თარიღდება: „ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი ხელმძღვანელობს რა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმითა და სანიმუშო პროგრამით, ვალდებულია წარუდგინოს საბჭოს თავისი შემუშავებული პროგრამა, რომელიც მოიცავს აუცილებელ მინიმუმს. რომელიც უნდა აითვისოს კლასმა. პროგრამის შედგენისას არ მიაქციონ ყურადღება წვრილმანს, მასალა შევარჩიოთ მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით, რადგანაც არაფერი აგდებს დემორალიზაციაში მოსწავლეებს ისე როგორც მოსწავლეებისთვის დაუძლეველი მოთხოვნები: მთავარია ავღზარდოთ მათში შეგნება, რასაც მოითხოვენ მათგან უსიტყვოდ იყოს შესრულებული.

როგორც მოსწავლეებმა, ასევე დამრიგებლებმა და დირექტორებმა ყურადღება მიაქციონ თითოეულ მოსწავლეზე შრომის თანაბარ გადანაწილებას დღეების, თვეების მიხედვით... ძირადი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ყურადღება მოსწავლეების იმ უნარს, რომლითაც გაუღვიძებს მოსწავლეებს ინტერესს ხელს შეუწყობს აქტიურ გონებრივ მუშაობას.

არ გააცდინონ მეცადინეობები, მოსწავლეებს თვალყური ადევნონ საგაკვეთილო პროცესის დროსაც.

ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს რუსეთის ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლაზე, რადგან სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი არის ის, რომ მოსწავლეებმა არასაკმარისად იცოდნენ საერთო სამშობლოს დიად ისტორია...(23;2)

მასწავლებლების მიმართ ამგვარი მოთხოვნილების კვალობაზე ბათუმის ქალთა გიმნაზიაში ქალი მასწავლებლების წლიური ხელფასი 50 მნეთს არ აღმატებოდა, რაც ბათუმის საბაზო ცხოვრების კვალობაზე მიზერულ თანხას წარმოადგენდა.

მასწავლებელთა ხელფასები მეტყველებს იმაზე, რომ ცარიზმი დიდად არ იყო დაინტერესებული კვალიფიციური კადფრების მომზადებითა და მათი არსებული პირობების უზრუნველყოფით. ეს თავისთავად აისახებოდა სწავლის ხარისხზეც. ბათუმის სამოქალაქო მმართველობის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ სასწავლებლის კურსს 18-20 წლის ახალგაზრდები ასრულებენ ამ ასაკში ისინი სამუშაოს ვერ პოულობენ, რადგან სპეციალური მომზადება არააქვთ. მართლაც, ქალთა გიმნაზია უმეტესად გამიზნული იყო ელემენტარული ცოდნის მისაღებად, რაც ვერ პასუხობდა საზოგადოებრივი მოთხოვნების საერთო დონეს. აქვე ავღნიშნავთ, - ბათუმის ქალთა გიმნაზიაში არსებული დისციპლინების შესწავლას გამარტივებული სახე რომ ქონდა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ვაჟთა გიმნაზიაში გამოყოფილი საათები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ბათუმის ქალთა გიმნაზიაში.

ბათუმის ქალთა გიმნაზიას ბათუმის ვაჟთა გიმნაზიასთან შედარებით ერთი სერიოზული უპირატესობაა, ბათუმის ქალთა გიმნაზიაში მოსწავლეები ზოგადი განათლების კურსს გადიოდნენ შვიდი წლის განმავლობაში. ხოლო მერვე კლასი განკუთვნილი იყო პედაგოგიური მომზადების, ოჯახის მასწავლებლების, გუვერნანტების მომზადებისათვის.

1909 წელს კავკასის მზრუნველის განკარგულებით ქ. ბათუმში ჩამოყალიბდა „განსაკუთრებული კომისია“ ქალთა გიმნაზიის, განსაკუთრებული კლასის, თეორიული და პრაქტიკული პროგრამების დასამუშავებლად კომისიამ საჭიროს ცნო 1905 წლის 7 აგვისტოს N11363 განკარგულებით დამტკიცებული სასწავლო გეგმის „უცვლელად დატოვება“ მაგრამ ამასთან ერთად აღინიშნა, რომ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და ლოგიკის დარგში მოსწავლეებს უნდა მისცემოდათ ღრმა და მეცნიერული ცოდნა.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა როგორც საგანმანათლებლო ასევე სპეციალური პროგრამები, რაც საფუძვლად დაედო ქალთა გიმნაზიის მსმენელთა მეცადინეობას. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და მიზნად ისახავდა „ქალთა გიმნაზიის მსმენელებს როგორც მომავალ „პედაგოგებს“ „გუვერნანტებს“ და „დედებს“ მიეღოთ აგრეთვე დაწყებითი რელიგიურ-ზნეობრივი ცოდნა (ვარჯიში სარეპეტიტორო განათლების მისაღებად), რათა პრაქტიკაში სამომავლოდ გამოეყენებინათ მიღებული ცოდნა“.(93;42)

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა უსახსრობის, სწავლა განათლების რუსულ ენაზე წარმოების გამო, ვერ სწავლობდა ბათუმის ქალთა გიმნაზიაში და მიუხედავად იმისა, გიმნაზია ვერ უზრუნველყოფდა ქალთა კვალიფიციურ დახელოვნებას, მას მაინც დიდი როლი ქონდა ქალის დაჩაგრული და დაბეჩავებული მდგომარეობიდან გამოყვანის, მათი გათვითცნობიერების და კულტურული დახელოვნების საქმეში.

მიუხედავად იმისა რომ აჭარა თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ჩამოშორებული იყო თავის დედასამშობლოს - საქართველოს, აწარის იძულების გამაჰმადიანებული მოსახლეობა სულითა და გულით ისწრაფოდა შეერთებოდა თავიანთ ქრისტიან ძმებს. ჯერ კიდევ რუსეთ თურქეტის ომის დაწყებამდე, ოსმანლეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში და მათშორის აჭარაშიც გაჩაღებული იყო ანტითურქული აჯანყებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ოსმანლური დამპყრობლის უღელის გადაგდებას, მაგრამ ამ ანტიოსმანლურ გამოსვლებს არ მიუღიათ სერიოზული შედეგი. ცარიზმის მიერ დაპყრობილ საქართველოს არ გააჩნდა ძალა ამ სანუკვარი მიზნის მიღწევისთის და ჩვენდა სამწუხაროდ, ისტორიული სამართლიანობა გვაიძულებს ავღნიშნოთისიც, რომ მაშინდელ საქართველოშიც არსებობდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც გულგრილად უყურებდა მაჰმადიან ქართველებს და ვერ აცნობიერებდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების უდიდეს მნიშვნელობას. სერგეი მესხი გულისტკივილით წერდა ამის შესახებ; „დიდი ხანია მას აქეთ რაც ჩვენს შორის კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან, ახალ ქართულ ლიტერატურაში ორი სიტყვა არ თქმულა იმათზედ, ისინი ჩვენ ძმებად გვთვლიან და ჩვენ მათ ოსმალოებად ვრიცხავთ, არ ვცნობ, არ გვინდა გავიცნოთ! ზნეობრივი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა და ანგარიში მოითხოვს, რომ ჩვენ ისე ძმურად ვუყურებდეთ იმათ, როგორც ისინი ჩვენ გვიყურებენ.

იმედია, არავინ არ ჩამოგვართმევს ურიგოდ და უადგილოდ „დროების“ რედაქციის ნატვრას, რომ მოისპოს ეს განკერძოება ჩვენსა და ოსმალოს ქართველებს შორის, რომ ძმებმ,ა ერთმანეთი დაახლოებით გავიცნოთ.“ მიუხედავად ამისა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია გულისტკივილით თანაუგრძნობდა ოსმალთა უღლის ქვეშ მყოფ თანამოძმეებს და იმის მიუხედავად რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, რუსეთ-თურქეთის ომში მის მხარეს იდგა. ომში ქართბველი ხალხი ელოდა თურქ დამპყრობელთაგან ადრე მითაცებული თავისი მიწა-წყლის განთავისუფლებას.

ამ ომს განმათავისუფლებელ ომად თვლიდა, რამაც განაპირობა ქართველი ხალხის აქტიური ჩართვა საბრძოლო ოპერაციებში. ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. შედგენილი იქნა მოხალისე მილიციის 102 ასეული, რომელშიც 18,395 კაცი ითვლებოდა, ამათგან 63 ასეული ქვეითი იყო დანარჩენი, 39 ასეული ცხენოსანი. ამის გარდა, ქალაქებსა და ფრონტისპირა სოფლებში მოსახლეობის შეიარაღებული რაზმები ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს. „სულ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იარაღი ხელში აიღო 25 ათასმა ქართველმა მებრძოლმა“.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამარჯვება რუსეთის არმიას ხვდა წილად.

1878 წელს ბერლინნის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა რუსეთს გადაეცა; აჭარაში დამყარდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობა და კანონმდებლობა. იგი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კავკასის მეფისნაცვალს მიუხედავად იმისა რომ აჭარის განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისგან რუსეთი არ განიხილავდა საქართველოს ეროვნული ინტერესების პრიზმაში, საქართველოსათვის მაინც ქონდა პოიზიტიური მნიშვნელობა; შექმნილი ვითარება ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის ერთდერთი გზა იყო.

ამ მართლაც ისტორიულ ფაქტს დიდი მოწონებით შეხვდა მოწინავე ქართული ინტელიგენცია. ილია ჭავჭავაძე აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიის შესახებ წერდა „ ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ დიდი სიკეთე შეგვძინა; ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირსსახსოვარია; ჩვენი ძმები, ჩვენი სისხხორცი, ჩვენ ერთად მებრძოლი შავი ბედისა.“ ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი განათლების აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან ვის ხელთაც აწ იმათი ბედი ჩვენთან იქნება სამუდამოდ.“

მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახლად დაბრუნებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლებს ადგილი არ ქონია, სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელები, შეძლეს აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის იმის შთაგონება, რომ თითქოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი აჭარლები აღმოჩდებოდნენ უარეს ყოფაში, ვიდრე თურქებთა ბატონობის დროს. ამით ისინი უბიძგებდნენ მათ მუჰაჯირობისაკენ - თურქეთის შორ უკაცრიელ ადგილებში გადასახლებისაკენ.

მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ ცარიზმის შოვინისტი მოხეელებიც. ცარიზმს აინტერესებდა აჭარის სუბტროპიკული მხარის განთავისუფლება.ადგილობრივი მოსახლეობისაგან და ამ მიწაზე რუსული კოლონიების შექმნა. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ 1883 წელს მუჰაჯირთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, მაგრამ ცარიზმის მოხელებმა მათ უკანდაბრუნების საშუალება არ მისცეს. „ამის მოწმე ყოფილა მწერალი გლებ უსპენსკი, რომელმაც მკაცრად ამხილა არხიპოვი და სხვა მოხელები. აჭარლებს ექომაგებოდა. აჭარის პირველი გაზეთის „ბატუმსკი ლისტოკის“ რედაქტორი კ. ვაჩნაძე. ამხელდა აჭარელთა მიწების გაყიდვას ვიღაცაების მიერ.

აჭარლების თურქეთში გადასახლებას განსაკუთრებით უწყობდნე ხელ ხოჯები. თუმცა მათ შორის არსებობდნე ისეთი პირები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ აგიტაციას. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ლომანეფენდ ქარცივაძე და ნური ბერიძე. რომელთა მიერ ხალხში გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეამცირა მუჰაჯირთა რიცხვი.

რუსეთ-თურქეთის საზაო ხელშეკრულების თანახმად მუჰაჯირები სამი წლის განმავლობაში უნდა გადასახლებულიყვნენ ბათუმის ოლქიდან. მუჰაჯირად წასულთა ზუსტი რიცხვი არ არსებობს. სხვადასხვა ციფრს ასხელებს გენერალი სტეფანოვი. ა. ფრენკელი ზ. ჭიჭინაძე დრესდღეისობით დადგენილია რომ ბათუმის ოლქიდან დაახლოებით მუჰაჯირად წასულია 10-15 ათასი კაცი.

მუჰაჯირად წასული ქართველები ტოებდნე თავიან უძრავ-მოძრავ ქონება სრასაც კაპიკის ფასად ყიდულობდნენ აღა-ბეგები, სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ვაჭრები და ადგოლობრივი მოხელეები.

მუჰაჯირები თურქერთში უმძიმეს პირობებში აღმოჩდნენ, ბევრმა შეძლო უკან დაბრუნება, ბევრის სურვილს ხორცი ვერ შეესხა. ზაქარია ჭიჭნაძე იგონებს „ერთ დედაკაცს გაეგო რომ მე მივედი მათ სოფელში, ქრისტიანი კაცი, გახარებოდა და ეთქვა, მადლობა ღმერთ ამ დროს მოვესწარიო. ასე გამოგონია მამ-პაპიდან, დრო მოვა და მოვლენ აქ ქართველები და ჩვენი სოფელი კარგადდა დაუხვდეს ისინი თუ ილოცავენ ჩვენთვის თორემ ჩვენ სხვა იმედი აღარ გვაქვსო.“

ქართული ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა მუაჯირობის წინაარმდეგ; ქაღტველების დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური საზოგადოებ, რომელიც ახსნა-განმარტებას აწარმოებდა არამარტო აჭარის მოსახლეობაში, არამედ რუსეთის ადმინისტრაციულ მოსახლეობასთან, რათა შეემცირებინათ მუჰაჯირთა რიცხვი.

როგორც ცნობილია 1878 წლის 20 სექტემბრიდან შეიქმნა ბათუმის ადმინისტრაციული ოლქი იგი დაიყო სამ ერთეულად; ბათუმის, ართვინის და აჭარის ოკრუგებად, რომლებშიც გაერთიანებულიყო: ბათუმის, კინტრიშის, გონიოს, ართვინის, არტაანის, შავშეთ-იმერხევის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაწახლის უბნები.

ამ უბნების უფროსებად დაინიშნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. რუსეთის ხელისუფლებას ამ გზით სურდა ახალი წესწყობილება სწორედ იმ პირთა მეშვეობით განემტკიცებიმა, ვინც კარგად იცნობდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესებსა და ხასიათს.

ოსმალთა ბატონობა შეიცვალა მეფის რუსეთის რეაქციული ბატონობით. დაიწყო რუსეთის თვითმპყრობლობის შემტევი ბრძოლა ძველი მიზნების პრაქტიკულად განხორხიელებისთვის, რაც გამოიხატა ქართული მიწების მიტაცება-დასაკუთრებაში. მეფის მთავრობა ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აეყარა აჭარლები და მათ ადგილზე რუსების გუბერნიებიდან გადმოესახლებინათ ხალხი, რამაც წინა პლანზე წამოწია დემოგრაფიული კრიზისის საშიშროება.

19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში მსახურობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, იგი თვითმხილველი იყო ყველაფერ იმისა, რაც შავიზღვისპირეთში ხდებოდა „ ვინ და საიდან არ ეტანებოდა აქაურბას, ვინ არ

სახლობდა და რა ოცნებას არ ეძლეოდა აქაური ცხოვრების მოღვაწეობის შემდეგ. მთვრობა მოსახლეებს ხელს არ უშლიდა დასახლებაში ეტყობოდა ეს მათვის სასურველიც იყო სასურველი რომ ადგილობრივი მოსახლეები აეყარა და მათ ადგილას სხვა მოსახლეობა გაეჩინა.(61;21)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საგრძნობი გარდატეხა მოხდა. ფეოდალურ-ბატონყმური საქართველო მტკიცედ დაადგა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარების გზას.

აჭარაში 1878 წლამდე მრეწველობის არცერთი დარგი არ ყოფილა განვითარებული, კუსტარული საფეიქრო ნაწარმი შიდა მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებდა.

მხოლოდ 80-იანი წლებიდან აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ საფუძველი ეყრება მრეწველობის ჩასახვასა და განვითარებას რასაც პირველ რიგში, ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ და ნავსადგურის გაფართოებამ.

„ბათუმი, თურქეთის ბატონობიდან გამოხსნამდე ერთი შეუხედავი და ჭუჭყიანი განუვითარებელი „ქალაქი“ იყო. დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებულ მოწყობილ და სავაჭრო ქალაქად იქცა. ქალაქს ლაზათს მატებდა სწორი და განიერი ქუჩები, ელექტროსადგური, 120 კაციანი საავადმყოფო, ვაჟთა გიმნაზიი, 6 კლასიანი სკოლის, ლომბარდის, სახანძრო რაზმისა და სხვა დაწესებულებათა შენობები“.(101;19)

ბათუმის სავაჭრო სამრეწველო ზრდასთან ერთად მატულობდა ქალაქის მოსახლეობაც, თუ 1878 წელს ბათუმში სულ 3 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, 1903 წლისათვის ბათუმში მოსახლეობის რიცხვი 35 ათასამდე გაიზარდა.

აჭარაში მრეწველობის დარგების ცალკეულმა განვითარებამ, ნავსაგურის ამოქმედებამ და სარკინიგზო ქსელის გაფართოებამ, მტკიცე ბაზა შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაც. დროთა განმავლობაში ირღვეოდა სოფლის მეურნეობის კარჩაკეტილობა და გასაქანი ეძლეოდა ახალი დარგებბის განვითარებას.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების თანავე, საქართველოში ფართო მეგობრობა გაიშალა „ბედისგან მივიწყებულ ძმებთან“ გაცნობა დაახლოება დამეგობრება და ეს პირველ რიგში, ქაღთულ ენაზე სწავლა-განათლების საქმეში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული ქართველ მუსლიმანთა ეროვნული გაცნობიერებისა და კულტურულ პროგრესის საქმეში.

ისლამური წრის სამყაროს წარმომადგენლები კვლავ ცდილობდნენ ისლამის პროგრესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის წარმომადგენლები კი გარუსებას და ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ერთ მუჭად ერთიანდება, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინა აჭარისათვის,

განუზომელია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის სერგეი მესხის და სხვათა ღვაწლი.

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში გასაკუთრებით მეტად დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“.

პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე წიგნში „ ი.გოგებაშვილი და აჭარა“ წერდა „ აჭარაში სკოლებიოს გახსნა და ბავშვების სკოლაში მიზიდვა ყველას აინტერესებდა ამ საქმეს ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ის აჭარაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით დადიოდა პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ი. გოგებაშვილს, როგორც განმანათლებელს, ერის წინამძღოლს მთავარ საშვალებად მიაჩნდა სკოლა, მრავალტანჯული აჭარის აყვავება აღორძინებას იგი ქართული სკოლის გახსნა-დაარსებაში ხედავდა.(38;29)

ილია ჭავჭავაძეც აწარის მოსახელეობის ეროვნულ გათვითცნობიერების, თავიანთ ქრისტიან ძმებთან, ქართველებთან სულიერტად შეკავშირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სასკოლო დაწესებულების გახსნას მიიჩნევდა, რომ ეს სკოლები სხვა ყველა საშუალებაზე მეტად სულითა და გულით შემოგვიერთებან აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურ სიყვარულს ჩამოაგდებდნენ ჩვენში, როგორც უწინ იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნამდე ყოფილა.“(112;67)

პირველად ბათუმში 1881 წლის მარტში სწორედ ამ საზოგადოებამ ქართველი მაჰმადიანებისთვის დაარსა პირველი ქართული სკოლა ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა იყო კულტურული ძალების თავშესაფარი სადაც ტარდებოდა ზეიმები, სკოლა ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის სახლის მოვალეობას. ამ სასწავლო დაწესებულებამ უმნიიშვნელოვანესი როლი შეასრულა აწარის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ, აჭარაში პირველი სკოლის გახსნამდე „1880 წელს ოქალაქე მასაილოვმა დაარსა კერძო სკოლა რუსულ ენაზე სწავლებით, სადაც თვიური შესატანი 5 მანეთი იყო, ამ სკოლას თავიდანვე ეტყობოდა რომ დიდი დღე არ ეწერა მართლაც მალევე დაიხურა.

იაკობ გოგებაშვილი რუსულენოვანი სკოლების უსარგებლობის შესახებ წერდა „ საქართველოში სახალხო სკოლები დიდი რაოდენობითაა, მაგრამ ისინი სრულიად ცარიელია, არათუ განვითარებას,არათუ გონებრივს, არამედ საგნობრივს ვერ იძლევიან, არამედ უბრალო წერა-კითხვასაც ვერ ავრცელებენ“ ხოლო ქართულ სკოლებში რუსული ენის ადრეული სწავლებისაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესახებ ნაშრომი „როგორ უნდა მოეწყოს უკეთესაც სასოფლო სკოლა“ წერდა - ნაადრევად სწავლება საგნებისა რუსულ ენაზე მეტისმეტად აბკოლებს ბავშვების ნიჭის წესიერ განვითარებას, მეტისმეტად ჩაგრავ მათ გონებას და იმდენად

აშრობს, რომ ხანგძლივი კურსების შედეგადაც ვეღარ შეუთვისებიათ რუსული ცნობიერად.“

სასკოლო განათლების განვითარებაში გარკვეული წვრილი შეიტანა ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა. მან შეძლო კიდეც საზოგადოების გულის მოგება. მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგეც ყავდა ცარიზმის მსახურთა შორის სიძნელეების მიუხედავად ლუკა ასათიანმა ადგილობრივი შემოსავლებიდან და მართლაც 1897 წელი 14 სექტემბერს გაიხსნა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია 1897 წლის სხდომაზე განიხილეს ქალთა გიმნაზიის გახსნაც, ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თავის გასამართლებლად უსახსრობას იმიზეზებდნენ. ლუკა ასათიანმა აქაც თქვა თავისი სიტყვა, მან მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით ადგილობრივ ბიუჯეტში გამონახა სახსრები და 1990 წლის 26 სექტემბერს აჭარაში გაიხსნა ქალთა გიმნაზიაც.

აჭარაში ნებადართული იყო კერძო სასწავლებლების დაარსებაც. ბათუმში გაიხსნა პალიევას (1888 წ), ლებედევას (1893 წ), ჟელტუხინას (1902 წ), მეფიხოვას (1903 წ), და ბერაიას(1912წ) კერძო სასწავლებლები მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ეროვნულობას და ბუნებრივია, აჭარის მოსახლეობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ვერ შეასრულებდა. ამ სკოლებში მეცადინეობა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და სკოლა დამთავრებულები ვერც საჭირო განათლებას ღებულობდნენ და ვერც ხელოვნებასაც ვერ ეუფლებოდენ.

მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში სასკოლო განათლება ნელა იკაფავდა გზას. რადგან ცარიზმი სულაც არ იყო დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეალური განათლება მიეცა. არც აჭარის ეროვნული გათვითცნობიერებისთვის ზრუნავდა. მაგრამ სკოლების რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. განათლების სამინისტროს ნებართვით 1889 წლის 12 ივნისს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი, 1887 წელს სკოლა სომეხ გრიგოლიანებისათვის, ხოლო 1890 წელს ამავე სკოლასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება ქალებისთვის. 1890 წელს ბათუმში ბერძნების სკოლის ასაშენებლად გამოიყო 400 საჟენი მიწა; ბერძნული სკოლა აშენდა იმავე წელს.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, უპირველესად, ქართული ენის შესწავლას მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებას და ეროვნულ გათვითცნობიერებას ისახავდა მიზნად, მაგრამ პირველ ხანებში ეს ძნელად ხორციელდებოდა.

აჭარის ბავშვთა უმრავლესობა არ იყო ჩართული სასწავლო პროცესში. სკოლაში ბავშვების მიბარება ბევრ მშობელს სურდა, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმის საწინააღმდეგოდ ასკარად გამოვიდნენ მუსლიმანური რელიგიის ფანატიკოსები; ისინი ხშიერ შემთხვევაში ნახულობდნენ დასაყრდენს მოსწავლეების მშობლებში, რომლებსაც მათი უფრო სჯეროდათ, ვიდრე მათი ბედით დაინტერესებულ ქართველ ინტელიგენციისა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელი ისევ საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ გაუწოდა. მატი თაოსნობით მოქმედება განაახლა „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ.“

საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება იყო ცენტრი, საიდანაც ბათუმის ოლქის ქართული მაჰმადიანებისთვის ვრცელდებოდა ნივთიერი, სამედიცინო, იურიდიული და მორალური დახმარება. იგი სისტემატურად ეხმარებოდა გაძჭირვებულ აჭარის მკვიდ მოსახლეობასაც.

დარბეული და კულტურულად ჩამორჩენილი აჭარის აღორძინება, დედასამსობლოსთან მისი დაახლოება-შემომტკიცება, რისთვისაც მოწინავე ქართული საზოგადოება ზრუნავდა, მხოლოდ კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობის გაჩაღებით იქნებოდა შესაძლებელი ამიტომ „ქართული საქველმოქვედო საზოგადოების „ ინიციატივითა და გადაწყვეტილებით 1916 წელს აჭარაში გაიხსნა პირველდაწყებითი ქართული სკოლა 1) ყოროლისთავში 4 მარტს (ორკომპლექტიანი) 2)ხუცუბანში 6 მარტს (სამკომპლექტიანი) 3) ალამბარში 7 მარტს (ორკომპლექტიანი) 4) ხუცუბანში 10 მართს (ერთკომპლექტიანი) 5)ქვედა აგარაში (ქედა) 15 მარტს (ერთკომპლექტიანი) 6) ზედა აგარაში (ხულო) 15 მარტს (ერტკომპლექტიანი) 7) მოგვიანებით გაიხსნა სკოლა წყლისმიერში (ერთკომპლექტიანი)

ზემოთ დასახელებულ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა რასაც ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაცია, პანთურქისტულ ელემენტები, მუსლიმანი ფანატიკოსები. მიუხედავად ამისა, „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების „ ძალისხმევით ქალაქის ადმინისტრაციული გამგეობის წევრებსა და მშრომელ მოსახლეობის მხარდაჭერით ეს სიძნელები დაძლეული იქნა და განათლებისა დაწინსვლის კვალობაზე ამაღლდა კულტურის საერთო დონე, რამაც დიდი წვრილი შეიტანა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული აღზრდის საქმეში.

აჭარის მოსახლეობის ეროვნულ და კულტურულ გათვითცნობიერებაში დიდი როლი შასრულა თეატრალურმა წარმოდგენებმა კერძოდ 1879 წელს ბათუმში ქეთევან ჯურულის ხელმძღვანელობით გაიმართა პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა. 1882 წელს მისივე ინიციატივითა და ხელშეწყობით ბათუმში სცენის მოყვარულთა წრე ჩამოყალიბდა, რომელიც შემდგომ დავით კლდიაშვილმა დრამატულ თეატრად გადააკეთა.

1912 წელს შალვა დადიანის ხელმძღვანელობით დაარსთა ქუთაისი ბათუმის მოძრავი თეატრალური დასი, ხოლო 1916 წელს შმაევსკიმ, ბათუმის ოლქის გუბერნატორის ნებართვით ახალი შენობა ააგო, სადაც იმართებოდა სპექტაკლები.

აჭარის მოსახლეობისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ქონდა, საგამომცემლო საქმიანობის დაწყებას, საბიბლიოთეკო და სამედიცინო ქსელის ჩამოყალიბებას .

1979 წელს ალ. მახარაძეს ბათუმში დაუარსებია სტამბა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ბათუმში ჯერ კიდევ არ არსებობდა სამოქალაქო ბიბლიოთეკა. იგი გახსნილა 1900 წელს, მაგრამ წიგნადი ფონდი ძლიერ ცოტა ყოფილა.

1880 წელს დაარსდა სამედიცინო დაწესებულება ქსენონი. ქალაქში მანამდე არსებული დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს და თვითმართველობამ ახალი თანამედროვე ტიპის საავადმყოფოს აშენების იდეაც წამოაყენა. ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა ყველა ზომა მიიღო საავადმყოფოს მშენებლობის დასაჩქარებლად და 1898 წელს 14 მარტს მართლაც ჩაეყარა საფუძველი მის მშენებლობას, რომელიც 1902 წლის 2 ოქტომბერს დასრულდა.

დაიწყო აღორძინების პროცესი აჭარის მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში. ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობით გამოწვეული დიდი ბარიერები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარკვეულწილად დაძლეული იქნა.

აჭარის მოსახლეობა ნელ-ნელა იშუშებდა თურქთა მრავალწლიანი ბატონობისაგან მიყენებულ ჭრილობებს, იგი აქტიურად ჩაება როგორც სამეურნეო, ასევე კულტურული ცხოვრების ფერხულში.

1918 წელის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა აჭარის მოსახლეობის სახელით პირდაპირ მიულოცა ჰაიდარ აბაშიძემ ქართველ ერს დიდი დღესასწაული: ძვირფასო ძმანო, მე თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი სულითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს. მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას. ვუცქერ ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს და სიტკბოებას მაგრამ ამასთან ერთად ნაღვლით ივსება რომ ამ ბედნიერ დღეს, სამაჰმადიანო საქართველო, თქვენი ღვიძლი ძმები თქვენთან ვერ არის. მე მამხნევებს ის, რომ მარტოდ არ ვარ და ჩემთან არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყე ციხე-კოშკების ნანგრევები და მასთან ერთად მრავალიქართველი მაჰმადიანი რომელიც სულით და გულით თქვენთან არის და იქნება კიდეც .“

1918-1920 წლების აჭარის ისტორია მძაფრ ბატალიებით ხასიათდება.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1918 წელის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით, რითიც ქვეყანამ აღადგინა სუვენერიტეტი, შექმნა მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც ქართული ერის ხსნის გარანტათ ასოცირდებოდა მოსახლეობის ფართო მასებში.

აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკური სფეროს პერსპექტიულობა უდიდეს ბიძგს იძლეოდა, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოებს მიექციათ მისი გავლენის არეალში.

დასკვნები

ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარაში ვერ ჩამოყალიბდა ისლამური კულტურა. ხალხმა თავის წიაღში შეინახა და გამოატარა ეროვნული კულტურის ნიშნები, პირველ რიგში ქართული ენის სახით.

1878 წელს აჭარამ თურქთა სამსაუკუნოვან ბატონობას თავი დააღწია და დედასაქართველოს დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა როგორც მთელ საქართველოში, ისე საქართველოს ამ რეგიონშიც, აჭარაში მის დამკვიდრებას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. აჭარის ერთ დროს დაკნინებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის.

ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებულ აჭარაში სამი სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა: ა) არსებობას განაგრძობდა მაჰმადიანური სკოლები – მედრესეები, ბ) რუსეთის ბატონობის დამყარების გამო შეიქმნა ცარისტული სასკოლო სისტემა, გ) დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში საქართველოს ეროვნული ძალების დახმარებით შეიქმნა ქართული სასკოლო სისტემის გავრცელების ხელსაყრელი პირობები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით 1881 წლის მარტში გახსნილი ბათუმის პირველი ქართული სკოლა წარმოადგენდა ისეთ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებული ბათუმის ოლქში. იგი თავისი მიზანსწრაფულობით აღვივებდა მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გრძნობას, უპირისპირდებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მართალია, ვერ მიიზიდა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული ცნობიერების აღსადგენად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად.

,,ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დიდი სამსახური გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-

ერთობის გამყარებისა და განმტკიცების საქმეს. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწავლების ქართულ ენაზე დაფუძნებით გამოიწვია აჭარის მოსახლეობის დიდი ინტერესი და ნდობა; ამით საშუალება მისცა აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩაეხედა იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენა"-ში, გაეთავისებინა იგი, ერთხელ კიდევ განეცადა საკუთარი ქართული წარმომავლობით მოგვრილი სიამაყის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ისინი სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ.

მეფის რუსეთის მიერ დამკვიდრებულ აჭარაში საერო განათლებასთან ერთად მაჰმადიანური სასკოლო განათლება თითქმის ხელუხლებელი დარჩა, კვლავაც არსებობდა თურქული რელიგიურ-კონფესიური სკოლები, სადაც სასწავლო პროცესს წარმართავდნენ თურქოფილური და ისლამისტური ორიენტაციის მქონე მოლა-მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს მათთვის უცხო არაბულ ენაზე აზეპირებდნენ ლოცვებსა და რელიგიურ დოგმატებს.

აღნიშნული სკოლები ემსახურებოდა აჭარელი ბავშვების გათურქებასა და მაჰმადიანური რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალვა. ამასთან, ეს სკოლები ვერ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების გონებრივ განვითარებას. სწავლებასა და სწავლაში გაბატონებული იყო უაზრო, მომქანცველი ზუთხვა და მექანიკური წვრთნა, გაბატონებული იყო მკაცრი ფიზიკური დასჯა, რაც მთლიანად იყო მოკლებული ზოგადპედაგოგიურ, მეცნიერულ საფუძვლებს.

ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა საქართველოსი მკვეთრად გამოხატულ კოლონიალურ ხასიათს ატარებდა. იგი ცდილობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემა მაქსიმალურად დაექვემდებარებინა საერთო საიმპერიო სისტემასთან. ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ აჭარაში ორმაგი უცხო საგანმანათლებლო სასკოლო სისტემა არსებობდა და ორივე ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა.

აჭარაში მეფის რუსეთის მიერ დაარსებულ სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე წარმართვით რუსეთის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ქართული ენის ღირსება და ამით აღმოეფხვრათ ,,ინოროდცებში" ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდოთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის.

იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.. და მაინც, დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს

აჭარის მოსახლეობაში წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არა მარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა შეძლო ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება და დემოკრატიული საფუძველი შექმნა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ცხოვრების განვითარებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქში 1918-1921 წწ. თურქები და შემდგომ ინგლისელები ბზტონობდნენ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მაინც შეძლო ქმედითი დახმარების გაწევა ქსელის ასამოქმედებლად.

დამოუკიდებელმა საქართველოს მთავრობამ შექმნა განათლების ეროვნული სისტემა. მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგა სკოლების გაეროვნულებისთვის.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში გამოხატული ზოგადსაკაცობრიო პრინციპებით და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობდა თავის საღვრებში თანასწორად უზრუნველეყო ქვეყნის ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ყურადღება მიექცია დედასამშობლოსთან დროებით მოწყვეტილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ქალაქ ბათუმის ეროვნული საბჭო, სამუსლიმანო საქართვველოს საქველმოქმედო საზოგადოება ქართული ეროვნული მთავრობის პოლიტიკურიკურსის გამტარებელი ორგანიზაციები იყვნენ, რომლებმაც ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით შეძლეს არამარტო მანამდე დახურული სკოლების განახლება, არამედ ახალი სასწავლო დაწესებულებების გახსნა.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არამარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1) აბაშიძე ჰ. ხმა ქრისტიან მოძმეებს, გაზეთი „ბათუმის ფურცელი“ 1913 N9

2)ბაბილოძე გ. სახალხო განათლება აჭარის სსრ რესპუბლიკის 1921-1957წწ, გამომცემლობა „აჭარა“ ბთ 1959

3) პედაგოგიკის ისტორია ნ.ვასაძე „საქართველოს მეცნიერთა პედაგოგიკის გამომცემლობა“, იბერია 1998.

4) თავზიშვილი გ. რჩეული ნაწერები, ტომი VI, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1974 წ.

5)თებიძე.ი ისტორიის ფურცლები გაზეთი განათლება, 2003.

6) პედაგოგიკა ლორთქიფანიძის რედაქციით, ინსტიუტის გამომცემლობა, თბილისი 1956.

7)კარალიძე ჯ. სახალხო განათლება ბათუმის ოლქში, აჭარაში პირველი მსოფლიო ომის წინ, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ 1999წ N 9

8) პაპავა ნ. სახალხო განათლება საქართველოში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში 1864-1900წწ. „მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“ თბილისი 1963.

9) სიგუა.ს - სახალხო განათლება რეოლუციამდელ საქართველოში, 1907-1917წწ, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი 1969.

10) სარიშვილი.

11) სიგუა

12)) სარიშვილის ტ. სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევილუციამდელ საქართველოში; „თბილისის მეთ. ლაბ. გამომცემლობა“ თბ. 1956

13) პედაგოგიკა,- შემბიროვი სამეცნიერო მეთოდოლოგიური კაბინეტის გამომცობა, თბილისი 1956.

14ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული, ტომი II, გამომცემლობა თბილისი „სახელგამი“ 1957.

15) ხუნდაძე ტ, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში; „ინსტიტუტის გამომცემლობა“, თ.ბ. 1951.

16) საქაღთველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, თბილისი 1970წ.

თბილისი 1954.

17) საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V

18) აჭარის ცსა ფ. N151, რქ 1, ფ 163

19) აჭარის ცსა ფ N151, საქ 6, ფ18